# საქართველოს რესპუბლიკა

> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებული 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2013 წელი.

№28 (7155)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## დავით საგანელიძე:

# შემოდგომამდე კი მივიტანთ ვადაგასულ მიშას, მაგრამ მერე რა ეშველება, მერე სად მიდის?



3

# ცხოვრების დონით ბოლოში მივჩანჩალებთ... 6

# ახალი ხელისუფლების მუშაობის 100 დღე

5



# „112“-ის მოკლე საგადასახადო სადავე 4



ნომრის კარიკატურა




# სოსო ჭოიავა საკუთარ თავს სხვისი თვალითაც უყურებს

7





# კვანტი ჭიდაობას 10

# კონკლავი სიქსტის კაპელაში 11

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გიორგი ღვინიაშვილი და სხვა დეპუტატები პარლამენტში დაიკითხებიან



**იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, პროკურატურა იძულებულია, დეპუტატები პარლამენტში დაკითხოს. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში„ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის განცხადების კომენტირებისას განუცხადა.**

**წულუკიანის თქმით, თუ დეპუტატები ბოროტად სარგებლობენ თავიანთი უფლებით და პროკურატურაში არ მიდიან, პროკურატურა თვითონ მივა პარლამენტში.**

— თვითონ ამბობენ პროკურატურაში მოსვლაზე უარს. თუ ღვინიაშვილი და სხვა დეპუტატები თავს არიდებენ დაკითხვაზე მოსვლას, პროკურატურა ვერ დაიწყებს პაექრობას და აქედან გამომდინარე, თავად მივა დასაკითხად პარლამენტში, — განაცხადა წულუკიანმა.

ამასთან, თეა წულუკიანის განცხადებით, პროკურატურა მოქმედებს კანონით დადგენილი წესებით და იმისთვის, რომ ჩაატაროს გამოძიება, ვალდებულია დეპუტატებს რამდენჯერმე გაუგზავნოს დაკითხვაზე მოწვევა.

— გამოძიებას სხვა გზა არ რჩება, თუ რამდენიმე მოწვევის შემდეგ დეპუტატები მაინც არ ცხადდებიან დაკითხვაზე, გამოძიება პაექრობას ვერ დაიწყებს და კანონით დადგენილი წესებით იმოქმედებს, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერმა თინა ხიდაშელმა გადაცემა „პოზიციაში" განაცხადა, რომ თუ კიდევ დიდი ხანი არ დაიკითხა გიორგი ღვინიაშვილი, ხვალ და ზეგ მოითხოვს პარლამენტში იუსტიციის მინისტრის და მთავარი პროკურორის მოსვლას.

მისი თქმით, უნდა დადგინდეს გიორგი ღვინიაშვილი აფარებდა თუ არა ხელს ბუტა რობაქიძის მკვლელებს.

— მთელი 9 წლის განმავლობაში, ჩვენ ყველაზე მეტად ვამბობდით, რომ პროკურატურა იყო მთავარი დამნაშავე ამ ქვეყანაში. ჩვენ მთავარი ბრალდება იყო ის, რომ პროკურატურა აყალბებდა საქმეებს, ხელს აფარებდა დამნაშავეებს და ა.შ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იმ მთავარი ჯგუფიდან იყო გიორგი ღვინიაშვილი. ეს ის პერიოდია, როდესაც ბუტა რობაქიძის და სანდრო გირგვლიანის მკვლელობა მოხდა, სხვას აღარ ვეხები. აქამდე, რომ არ იყო გიორგი ღვინიაშვილი დაბარებული პროკურატურაში, მე ამაზე მაქვს პრეტენზია პროკურატურასთან. რაც უფრო დიდი ხანი არ დაკითხავს პროკურატურა მას, მით უფრო დიდი პრეტენზია მექნება და ხვალ და ზეგ, მე თვითონ მოვითხოვ პარლამენტში იუსტიციის მინისტრის და მთავარი პროკურორის მოსვლას, თუ ეს საქმე არ გაგრძელდა და თუ არ გამოიკვეთა ამ საქმეში ამ კაცს რამე ბრალი მიუძღვის თუ არ მიუძღვის და აფარებდა თუ არა ის ხელს ბუტას მკვლელებს, — განაცხადა ხიდაშელმა.

# ბიძინა გიორგობიანი „ქართულ ოცნებაში" შემავალ პარტიებთან აქტიურად ითანამშრომლებს

**ბიძინა გიორგობიანი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას აპირებს. როგორც 8-წლიანი ემიგრაციიდან დაბრუნებულმა გიორგობიანმა „ინტერპრესნიუსის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, არ სურს, პოლიტიკურ პროცესებს შორიდან უყუროს.**

**მისივე განმარტებით, პოლიტიკური შეხედულებებით კონსერვატორია და აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს როგორც „კონსერვატიულ", ისე კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალ სხვა პარტიებთან.**




— იმ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომელიც საქართველოში დაიწყო, სჭირდება აქტიური მუშაობა, როგორც საკანონმდებლო, ისე - სამოქალაქო სექტორში. ვითანამშრომლებ იმ პარტიებთან, რომელთა გზა მიმართულია საქართველოს მომავალი დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვისკენ, — განაცხადა გიორგობიანმა.

მისივე ინფორმაციით, შეთავაზება კონკრეტულ თანამდებობასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე არ მიუღია, თუმცა გამორიცხული არაფერია.

— ჩემი საქმიანობა პარტნიორებთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყდება. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩავერთვები, თუმცა მეტ კონკრეტიკაზე საუბარი პარტნიორებთან მოლაპარაკებების შემდეგ შემეძლება. სუსტი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში, თუ შენ არ დაინტერესდები პოლიტიკით, პოლიტიკა დაინტერესდება შენით და სახლში შემოგივარდება, — აღნიშნა გიორგობიანმა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი თვით დაბრუნდა და აღნიშნული გადაწყვეტილება თავისუფალი გადაადგილების საშუალების მინიჭების შემდეგ მიიღო.

ბიძინა გიორგობიანს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემთა სასართლებრივი დევნის დაწყება ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ აქვს. მისი თქმით, არ სურს „ძვირფასი დრო" ამაზე დაკარგოს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ამ თემაზე კონსულტაციების შედეგად მიიღებს.

ბიძინა გიორგობიანი მის წინააღმდეგ მოქმედ მთავარ პირებად დათა ახალაიას, ვანო მერაბიშვილს, ამირან მესხელსა და გივი თარგამაძეს ასახელებს.

## ამიერკავკასია

# სომხეთი აფხაზეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას „დადებითად უყურებს"

**ამის შესახებ სომხეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ არტაშეს ავეტისიანმა სასტუმრო „რედისონში„ მიმდინარე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების არაფორმალური დიალოგის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**



**მისი თქმით, ეს სომხეთს საშუალებას მისცემს, პირდაპირ დაუკავშირდეს შავი ზღვის პორტებს და ყველა შემთხვევაში ამ რკინიგზის აღდგენას დაუჭერს მხარს.**

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოზიციას, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, აფხაზეთის რკინიგზის საკითხი არ არის აქტიურ განხილვაში, თუმცა კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ ეს არის რთული პოლიტიკური საკითხი.

— ეს არის საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკური თემა, რომელიც მარტივი არ იქნება. ჩვენი მთავრობის პრიორიტეტია, ჩვენი თანამოქალაქეების — აფხაზების ინტეგრაცია საქართველოს ერთიან სივრცეში და ჩვენ ამას, რა თქმა უნდა, მივესალმებით, თუმცა რკინიგზის საკითხი არის რთული პოლიტიკური საკითხი, — დასძინა გიორგი კვირიკაშვილმა.

# სომეხი მინისტრის მოადგილის განცხადებამ აზერბაიჯანული მხარის უკმაყოფილება გამოიწვია

**სომხეთის რესპუბლიკის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე არტაშე ავეტისიანმა სასტუმრო „რედისონში" მიმდინარე ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნების არაფორმალური დიალოგის დასრულების შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ სომხეთი დიდი სიამოვნებით ისარგებლებდა ბაქო-თბილისი-ყარსის დერეფნით და თუ საშუალება იქნებოდა, გამოიყენებდა კიდეც.**

სომხეთის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილის განცხადებამ აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრის ზია მამედოვის უკმაყოფილება გამოიწვია. ავეტისიანს სიტყვა აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა შეაწყვეტინა და განაცხადა, რომ სომხეთი ვერ შეუერთდება ამ პროექტს.

— ვიდრე სომხეთის შეიარაღებულ ძალებს ოკუპირებული აქვთ აზერბაიჯანის ტერიტორიები და სანამ კონფლიქტის დარეგულირება არ მოხდება, სომხეთი ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით ვერ ისარგებლებს, — აღნიშნა აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა.

ზია მამედოვის თქმით, ეს პროექტი აზერბაიჯანის მიერ ხორციელდება, მისი დაფინანსებაც აზერბაიჯანის ბიუჯეტიდან ხდება და სომხეთი მანამ ვერ შეუერთდება ამ პროექტს, სანამ აზერბაიჯანის ტერიტორიები აქვს ოკუპირებული.

რაც შეეხება პროექტის მიმდინარეობას, ზია მამედოვის განცხადებით, ამ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის. მისი თქმით, ამ ეტაპზე თურქეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები.

## ქართული ქორეოგრაფიის სადიდებლად

# მზისა და ვარდის ქვეყნის შვილი




ბატონი **რეზო ჭოხონელიძე 75 წლისაა**. იგი ჭეშმარიტად მზისა და ვარდის ქვეყნის შვილია — საქართველოსი, რაც ნათლად ჩანს მის ხელოვნებაში. წლების მანძილზე ემსახურება ქართულ ქორეოგრაფიას. მის შესანიშნავ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას დიდი ხანია საზოგადოება იცნობს. ბატონი რეზო მოღვაწეობდა სხვადასხვა ანსამბლებში, ბოლო წლები კი მოღვაწეობს ანსამბლ „ერისიონის" ქორეოგრაფიის ხელმძღვანელად. იგი გამორჩეულია განსაკუთრებული ხელწერით, ეს კი გახლავთეროვნული სულის პრაქტიკაში გამოხატვა, რომელიც არ საჭიროებს თარგმანს, ამიტომაც იგი ყველასათვის მისაწვდომია. ბატონი რეზო ჭოხონელიძე დიდებული ხელოვანია. გარდა ამისა იგი ქართული ქორეოგრაფიის დიდი მოამაგეა. საოცარი სიყვარულით პატივს სცემს საქართველოს გმირულ ისტორიას და ტრადიციას.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ულოცავს მას საიუბილეო თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას, დიდხანს მოღვაწეობას ქართული ქორეოგრაფიის სადიდებლად.

**მერაბ ბერძენიშვილი**

## ალიან-ჩალიანი

# ფული, რომლითაც „ნაცმოძრაობა" ფინანსდებოდა, სავარაუდოდ, ნაგვისა და დენის ერთმანეთზე მიბმით იყო ამოღებული

**იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკითხვას პოლიტიკურ დევნასთან კავშირი არ აქვს.**

**როგორც თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" 100-დღიანი მუშაობის ანგარიშის წარდგენისას განუცხადა, ხელისუფლება და პარტია ერთმანეთთან კავშირში იყო და გამოძიების მიხედვით, სავარაუდოდ, პარტიული საქმიანობა ფინანსდებოდა ნაგვისა და დენის ერთმანეთზე მიბმით. კერძოდ, როგორც წულუკიანმა განმარტა, „ნაციონალური მოძრაობა" და მისი აქტივისტები, როგორც ჩანს, მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ.**

# თავდაცვის სამინისტრომ ფოტომასალა გაავრცელა

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ქუთაისის III ქვეითი ბრიგადისა და სენაკში მდებარე II ქვეითი ბრიგადის ბაზებზე არსებული საყოფაცხოვრებო პირობების ამსახველი ფოტომასალა გაავრცელა. ფოტოები სამინისტროს „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.**

**თავდაცვის მინისტრი ქუთაისის III ქვეითი ბრიგადისა და სენაკში მდებარე II ქვეითი ბრიგადის ბაზებს გუშინ სტუმრობდა. ირაკლი ალასანია არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებსა და ჯარისკაცების საყოფაცხოვრებო პირობებს გაეცნო.**



**მისი თქმით, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ქუთაისის III ქვეითი ბრიგადის ბაზის ინფრასტრუქტურა.**

**თავდაცვის მინისტრის დავალებით, სამხედრო ბაზებზე არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სპეციალური კომისია შეიქმნა. სამუშაო ჯგუფმა უკვე შეისწავლა სამხედრო ნაწილებში არსებული პრობლემები და ჯარისკაცებისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად რეაბილიტაციის გრძელვადიანი გეგმა შეიმუშავა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**16 თებერვალს 3 საათზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება პარტია „ქართული ოცნების“ ყრილობა. პარტიის აქტივისტები სულმოუთქმელად ემზადებიან ამ დღისთვის, იმ პროცესების კვალდაკვალ, რაც ქვეყანაში ვითარდება. ჩვენი სტუმარია საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე. როგორი პოლიტიკური განწყობა აქვს მას, რას ფიქრობს, რისთვის ემზადება?**

— ეს ორი თვე აქტიური და დაძაბული იყო რაიონებში, რადგან ტარდებოდა პარტიის სადამფუძნებლო კონფერენციები, ხდებოდა დელეგატების არჩევა, 10-10 დელეგატი რაიონებიდან ირჩეოდა, 20 დელეგატი თბილისიდან და დიდი ქალაქებიდან, აირჩიეს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები და ა.შ. ხელისუფლებაში მყოფი კოალიციის ერთ-ერთი ძირითადი პარტიის წევრობა და მით უმეტეს, თავმჯდომარეობა, მოგეხსენებათ, როგორი საინტერესო იყო ბევრისთვის. ამიტომ იყო ასეთი აქტიურობა და ხანდახან პროტესტიც კი, თუ რამდენად დამსახურებული იყო ის ადამიანი, ვინც თავმჯდომარედ აირჩიეს. მესმის, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილი უკმაყოფილო დარჩა. ამიტომაც თავმჯდომარეები მხოლოდ ექვსი თვით ავირჩიეთ და დავაკვირდებით მათ, რამდენად კარგად გაართმევენ თავს საკუთარ მოვალეობებს. ყრილობაზე მოვიწვიეთ პარლამენტის წევრები, კოალიციის წევრები და მთავრობის წევრები. დავამტკიცებთ წესდებას, პარტიის პროგრამას.

**— თავმჯდომარის საკითხი გადაწყვეტილია?**

— თუ ვინ იქნება გენერალური მდივანი, ამაზე პასუხს მიიღებთ ყრილობაზე...

**— ყოველ შემთხვევაში, თქვენ არ იქნებით, არა?**

— ულრმესი მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ამ თანამდებობაზე მომიაზრებდა, მაგრამ მე ნამდვილად არ ვიქნები გენერალური მდივანი. გენერალური მდივანი უნდა იყოს კარგი, გამოცდილი მენეჯერი, რადგან დიდი დრო სჭირდება ამ სამუშაოს. ჩემი აზრით, არათუ უმრავლესობის ლიდერი, არამედ პარლამენტის წევრიც არ უნდა იყოს ის. მე, ალბათ, ვიქნები მართვით სტრუქტურაში, პოლიტსაბჭოში...

**— უკვე შერჩეულია, ვინ იქნება გენერალური მდივანი ?**

— მოდით, ეს ინტრიგა ყრილობამდე დავტოვოთ.

**— რა გაეწყობა. ბატონო დავით, საინტერესოა რა კრიტერიუმით ირჩევს პრემიერ- მინისტრი თანაგუნდელებს, თქვენს მიმართ ძალიან კეთილგანწყობილია და რით დაიმსახურეთ? ბევრმა ეს ვერ მოახერხა..**

— დიდი მადლობა, თუ ასე ფიქრობთ, მადლობა პრემიერსაც, რადგან მან გამომიცხადა დიდი ნდობა, როდესაც სრულიად უცხო ადამიანს (ვგულისხმობ პირად ურთიერთობებს) დიდი პასუხისმგებლობა დამაკისრა.

**— დიახ, ასე ვთქვათ, თქვენ ყველაზე ბოლოს მიხვედით მის გუნდში, თუმცა ივანიშვილის გულის მოგება კარგად მოახერხეთ.**

— მან კოალიციის შტაბის ხელმძღვანელად დამასახელა და ეს იყო დიდი პასუხისმგებლობა, ასევე — ტვირთი. შედეგიც ისეთი იყო, რომელმაც დადებითად განაწყო ჩემს მიმართ, მეც ძალ-ღონე არ დავიშურე ამ არჩევნებზე. ალბათ, შრომისმოყვარეობა, ეს არის გამორჩეული თვისება. თუმცა, ჩემი კარგი თვისება ის არის, რომ კარგად ვიცი ჩემი მინუსები....

**— თქვენმა ხმამაღალმა განცხადებებმა რეგიონებში დაპირისპირების გამო, „ჩანერგილების“ შესახებ თემის აგორებამ, სხვა პარტიების მისამართით გამოთქმულმა შენიშვნებმა, საზოგადოებაში შექმნა განცდა, კოალიციაში ბზარის არსებობის შესაძლებლობაზე. ხომ არ მიგიღიათ ამის გამო საყვედურები?**

— აი, თქვენც ახსენეთ ტერმინი „ბზარი“, თუმცა, რეალურად ამან უფრო შეკრა კოალიცია იმიტომ, რომ ჩვენ თუ ერთმანეთს არ ვუთხარით სათქმელი და ერთმანეთს არ მივუთითეთ...

**— ჰო, მაგრამ ეს ძალიან მკაცრად იყო ნათქვამი.**

— ხმამაღლა უნდა თქვა! მე ძალიან პირდაპირი ვარ და ყველაფერს ასე ვამბობ. ამის შესახებ უნდა ცოდნოდა საზოგადოებასაც. ჩემი აზრით, ამან კიდევ უფრო შეკრა კოალიცია. მე იმიტომაც ვთქვი, რომ უპირველესად სწორედ ჩვენს პარტიაში იყო პრობლემა და ხარვეზი. იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც განაწყენდნენ იმის გამო, რომ არ აირჩიეს. იყო კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და ამ დროს აქტიურად ერეოდნენ ჩვენი პარტიის საშინაო საქმეებში. ამას შეიძლება პოლიტიკური უმწიფრობაც დავარქვათ. ეს ცუდი განზრახვით არ მოსდიოდათ.... და მესამე, ყველაზე ცუდი, პარტიაში ადამიანები იმთავითვე იმ მიზნით შემოვიდნენ, რომ ინფორმაცია გაეტანათ, აურზაური აეტეხათ და ა. შ. ანუ უნდოდათ გაეჩინათ განხეთქილების ელემენტები... თქვენ გიკვირთ, რომ ნაციონალებს შემოგზავნილები ეყოლებოდათ ჩვენთან?!

**— ასე თუ ისე, ეწყინათ თქვენი კომენტარი მათ, ვინც მართლა გულწრფელად ემსახურებოდა კოალიციას...**

— მე დავასახელე ის გვარები, რომლებიც იყვნენ მისული ივანიშვილის ბიზნესცენტრში, და იყვნენ სხვა პარტიის წარმომადგენლები აბაშიდან. ისინი აპროტესტებდნენ იმას, თუ რატომ აირჩია „ქართულმა ოცნებამ“ გვილავა პარტიის თავმჯდომარედ. მოგწონს თუ არა, ჩემი პარტიის საქმიანობაში რატომ ერევი?

**— მართალი გითხრათ, ისინი ამბობდნენ, რომ პარტია „ქართული ოცნება“ აბაშაში არც არსებობს და ამ პარტიის წევრები როგორღა იქნებოდნენო.**

— როგორ არ იყვნენ, 123 დელეგატმა აირჩია ეს კაცი თავმჯდომარედ და სულ 2 კაცი იყო წინააღმდეგი.

**— ამაზე კამათი შორს წაგვიყვანს, მინდა გკითხოთ, ბოლო დროს გავრცელებული ხმების შესახებ, თითქოს ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია იგეგმება, თქვენს კოალიციაში სერიოზულად განიხილავენ თუ არა ამ თემას?**

— არა მაქვს ისეთი ინფორმაცია, რომ ეს დავადასტურო ან უარვყო, მეც ჭორის დონეზე ვიცი, თუმცა, დიდი უბედურება ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთ ჭორებს აქვთ არსებობის უფლება. პირდაპირ სააკაშვილის ბრძანებით ლამის გაწირეს დეპუტატი გელაშვილი, ისე უმოწყალოდ სცემეს. აქედან გამომდინარე, არაფერია გამორიცხული.



## დავით საგანელიძე:

# შემოდგომამდე კი მივიტანთ ვადაგასულ მიშას, მაგრამ მერე რა ეშველება, მერე სად მიდის?

**— ბატონო დავით, როცა თქვენ ასეთი განწყობილებით უყურებთ ოპონენტებს, როგორ ფიქრობთ, შედგება თქვენ შორის კოჰაბიტაცია, ანუ თანაარსებობა ერთ პოლიტიკურ სივრცეში?**

— იმ გაგებით, რა მნიშვნელობაც ამ სიტყვას აქვს, ალბათ, არა. მთავარია, როგორმე ჩავათავოთ და შემოდგომამდე მივიყვანოთ სააკაშვილის მმართველობა. ის მიდის ყველანაირ პროვოკაციაზე, რისი დასტურიც 8 თებერვალი იყო.

**— ესე იგი, ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია და არა უმრავლესობის შეცდომის შედეგი?**

— რა თქმა უნდა, რატომ დაგეგმა მან მაინც და მაინც საჯარო ბიბლიოთეკაში თავისი გამოსვლა? ან სად იყო დაცვა, რომელიც ყველგან, სადაც კი პრეზიდენტი მიდის, დილიდანვე იჭერს თადარიგს ხოლმე, და რომლის შენახვა ბიუჯეტს 50 ათასი დოლარი უჯდება დღიურად. ან სპექტაკლი რომ დადგა უგულავამ და ხალხის მასაში შეიჭრა ხელების ქნევით, ეს პროვოკაცია არ იყო?! დეპუტატების ცემის ფაქტს, ბუნებრივია, ვერასდროს შევურიგდები, მაგრამ ეს რომ სპეციალურად იყო დაგეგმილი, ამაში ვერავინ გადამარწმუნებს.

**— და მაინც, ამ მოვლენამ იძულებული გაგხადათ, გესაუბრთ უმცირესობასთან. რას იტყვით პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრაზე, რომელსაც შეხვედრა შეხვედრისთვის ელფერი უფრო ჰქონდა, ვიდრე შედეგებისა. ხომ არ უნდა ველოდოთ ჩიხური ვითარების შექმნას?**

— პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კეკლუცობდა და თამაშობდა კამერების წინ, და ამას წლების განმავლობაში ასე აკეთებდა. პრეზიდენტი ცდილობდა, მაქსიმალურად გამოეყენებინა ვითარება. ის იყო ერთი კარგი პიარ-სპეციალისტი, რომელიც ლაპარაკობდა ტყუილს, ტყუილს და ტყუილს. შედეგების მიუხედავად, მაინც მივესალმები ასეთ ურთიერთობებს. როგორმე დავაოკებთ ამ ადამიანს...

**— სააკაშვილი პრობლემაა თქვენთვის, მაგრამ აღიარებთ რომ, ნაციონალური მოძრაობა არის ძლიერი ოპოზიცია, როგორც ამას ბევრი თქვენი თანაგუნდელიც ამბობს?**

— არ ვიცი, ვინ აღიარებს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ოპოზიცია ძლიერი მაშინაა, როცა ის სიმართლეს ამბობს, როცა მას აქვს ხალხის მხარდაჭერა, საუბრობს სერიოზული არგუმენტების მოშველიებით.

**— ამის მიუხედავად, ოპოზიცია მუდმივად თავის მართლების რეჟიმში გაყენებთ, რატომ?**

— იმიტომ რომ, ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც ყოველგვარი ძალადობის გარეშე ცდილობს, ხალხი ნელ-ნელა მიაჩვიოს დემოკრატიულ პრინციპებს. დღეს ადამიანები გახსნილად ლაპარაკობენ იმაზე, რაც არ მოსწონთ. დღეს ყველა ითხოვს იმას, რაც სამართლიანად მიაჩნია, ამიტომაც არის ასე ბევრი გაფიცვა, აქცია, ითხოვენ კომპენსაციებს და ა. შ. მაშინ, როცა წინა ხელისუფლების პირობებში ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. ყოველდღე უკმაყოფილება უკმაყოფილებაზე გვესმის. დღეს ყველამ იცის, რომ ამის გამო არავინ არ დასჯის. ეს სერიოზული ფაქტორია.

**— ამ ფაქტორს სათავისოდ კარგად იყენებენ თქვენი ოპონენტები.**

— ისინი, ბუნებრივია, იყენებენ, მათთვის ხომ ძირითადი პიარია.

**— პიარი კარგად მუშაობს კიდეც.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ის მუშაობს გარკვეულ ზღვრამდე. მერე კი არ ინგრევა, ფეთქდება, რაც ამათ დაემართათ. ატყუეს, ატყუეს საზოგადოება და ბოლოს ხალხმა მაინც გაიგო სიმართლე. იმიტომ აქვთ ახლა ასეთი ზიზღი, ქუჩაში ვერ გამოდიან ხალხის შიშით, ითხოვენ, რომ დაიცვას პოლიციამ. ბევრი პოლიტიკური ძალა მინახავს ხელისუფლებიდან წასული, მაგრამ ის პოლიტიკოსები ქუჩაში ჩვეულებრივად დადიან და ხალხი არ დასდევს მათ. დღეს იმასაც გვაბრალებენ, რომ თურმე ხელის გადაგრეხვითა და გადაბრუნებით ჩვენს პარტიაში გადმოვიბირეთ დეპუტატები...

**— ულტიმატუმადაც კი წამოგიყენეს, ასეთ გადაბირებებს შეეშვათო.**

— ეს რომ გვინდოდეს, იმდენი ბერკეტი გვასწავლეს ნაციონალებმა, თუ რა შეიძლება ადამიანებს გაუკეთო და როგორ დააშანტაჟო, გვერწმუნეთ, სუყველა გადმობირებული გვეყოლებოდა.

**— მარიკა ვერულაშვილი თავისი ნებით როგორ განუდგებოდა უმცირესობას? ის ხომ ერთგული თანამებრძოლი იყო, გუნდურობა ნაციონალებს რომ ახასიათებთ, ისეთი უნდა.**

— თქვენ როგორ გგონიათ, ვერულაშვილი გადმოვიბირეთ, მაგრამ დანარჩენი 50 დეპუტატი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ვერაფერი კომპრომატი მოვუძებნეთ და ხელფეხი ვერ გადავუტრიალეთ? რომელი მყავს ერთი ასეთი ვაჟკაცი?

**— პრეზიდენტს და მის გუნდს აქვთ გარკვეული მოთხოვნები. მაგალითად ის, რომ პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს.**

— პოლიტიკური ვაჭრობა მიუღებელია, შეიძლება იყოს კომპრომისი, მაგრამ ის პრინციპული საკითხი, რაც არის, უნდა დარჩეს.

**— პრინციპულია პარლამენტის თბილისში გადმოტანა? რატომ არ შეიძლება ამ ნაწილში უმცირესობას დაეთანხმოთ?**

— იმიტომ, რომ პარალიზებულია პარლამენტი. საკანონმდებლო ორგანო — ეს არის ურთიერთობა საზოგადოებასთან, დიპლომატიურ კორპუსთან, მთავრობასთან, დელეგაციებთან...

**— თუმცა, ჩვენს ეპოქაში კომუნიკაცია პრობლემა არ არის.**

— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ არსებობენ ავტომობილები?

**— ავტომობილები და ინტერნეტიც.**

— ვთქვათ, რომელიმე საერთაშორისო დელეგაცია ჩამოდის ერთი დღით, ხვდებიან მთავრობას , პრეზიდენტს, ჩვენ ვართ ქუთაისში და ვერ ვხვდებით ამის გამო, ან მოწვეული ვართ რომელიმე კონფერენციაზე, ქუთაისიდან სკაიპით ჩავერთოთ? ეს არ არის ყოფითი პრობლემები, არამედ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ქუთაისში რომ შევდივარ შენობაში, არაფერი არ ვიცი, იმიტომ რომ, რაც ხდება, თბილისში ხდება. მერე ტელეფონით ვიგებ ამბავს, ან საინფორმაციო საშუალებებით, ანუ იქ მოწყვეტილი ვარ პოლიტიკურ ცხოვრებას.

**— ზოგადად როგორია უმრავლესობისა და უმცირესობის თანამშრომლობა იქ, პარლამენტის ჩაკეტილ სივრცეში?**

— სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ვერანაირ თანამშრომლობას.

**— რა ხდება კულუარებში?**

— არაფერიც არ ხდება, ისინი არიან თავისთვის, ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს საქმეს. დღეს უმცირესობაში ბევრი ადამიანია, ვის მიმართაც ნორმალურად ვარ განწყობილი, თუმცა, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც არც გამარჯობას ვეუბნები და არც ხელს არ ჩამოვართმევ.

**— ასეთ დამოკიდებულებას კონფრონტაციისკენ ხომ არ მივყავართ?**

— არა, ეს მხოლოდ ჩემი დამოკიდებულებაა და სხვა არაფერი...

**— არის თუ არა ქვეყანაში საგანგებო სიტუაცია, როგორც ამას პრეზიდენტი გვიმტკიცებს?**

— პრეზიდენტისთვის ნამდვილად არის იმიტომ, რომ რამდენჯერაც თავისი სასახლიდან გამოვა, ხალხის აგრესიას ვერ სცდება.

**— პირიქით, ის მზად არის მთელი საქართველო მოიაროს და ხალხს ესაუბროს...**

— ხალხს თუ რამდენიმე ადამიანს, რა საქართველო უნდა მოიაროს? რა არის კომიკური, იცით? ეს ადამიანები, წლების განმავლობაში რომ გვატერორებდნენ და გვანგრევდნენ, გვესროდნენ, გვგუდავდნენ, დღეს ჩვენი დასაცავი გახდნენ... არა უშავს, დავიცავთ.

**— დაბოლოს, თქვენ ფიქრობთ, რომ შემოდგომამდე უნდა გავუძლოთ ამ ვითარებას?**

— შემოდგომამდე კი მივიტანთ ვადაგასულ მიშას, მაგრამ მერე რა ეშველება? მერე სად მიდის? ალბათ, დატოვებს ქვეყანას, ისე როგორც ბევრმა მისმა თანაგუნდელმა დატოვა.

**— არადა, პირიქით ამბობენ, სააკაშვილი თანამებრძოლებთან ერთად გეგმავს პარტიის გაძლიერებას და ხელისუფლებაში დაბრუნებას. თქვენ გამორიცხავთ ამას?**

— რა თქმა უნდა, გამოვრიცხავ, ამათ ქართველი ხალხი მართლა დამონებული ხომ არ ჰგონიათ?! აგერ არის დრო და ყველაფერს ვნახავთ... მეტსაც გეტყვით, რამენაირად ისე უნდა მოვახერხოთ, რომ გავუძლოთ ამ კაცს შემოდგომამდე, რომ არ გაგვექცეს ქვეყნიდან და მერე არ იძახოს, პოლიტიკური დევნილი ვარო. ამიტომ ჯობს, იყოს შემოდგომამდე და ვუყუროთ, როგორ თანდათან ემსგავსება კომიკურ ფიგურას...

ესაუბრა
**თეა მოსია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ენას ძვალი არა აქვს

# მითი და რეალობა პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილებზე

**პარლამენტის მიერ პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთათვის სტატუსის მინიჭებამ და თავისუფლებაზე გამოშვებამ გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. განსაკუთრებით აქტიურობენ „ნაციონალები“. ისინი საქმის შემსწავლელ კომისიას ხან რა ეპითეტებით ამკობენ ხან რით (ბესელია-კაკაბაძის ალიანსი, სამშობლოს მოღალატეთა შემწყნარებლები, ჯაშუშობის მუხლით გასამართლებულები), ნაცნობ-მეგობრების გამომშვებები და ა. შ.) ბოლო დროს ნაცები ისე შორს წავიდნენ, რომ კომისიას მექრთამეობასა და კორუფციაში ადანაშაულებენ. თუმცა რეალურ ფაქტებს ვერ ასახელებენ.**

პარლამენტის წევრი უმცირესობიდან **გიორგი ვაშაძე** აცხადებს, რომ პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიაში მოსახვედრად ბევრმა ადამიანმა გარკვეული თანხები გადაიხადა. მსგავსი ეჭვები საზოგადოებაში უკვე გაჩნდა. და შესაბამისი ორგანოები ამით უნდა დაინტერესდნენ. თუმცა დეპუტატი იქვე თავს იზღვევს, როდესაც ამბობს, რომ კონკრეტულ ინფორმაციებს არ ფლობს, მაგრამ არსებობს ეჭვი – ამბობს იგი. ამის საფუძველს კი მას სიითი შემადგენლობა აძლევს. იქ ბევრი გაუგებარი სახელია. არაფრისმთქმელი გვარებია სიაში, აცხადებს „ნაცების“ წევრი. მისი ინფორმაციით, პრემიერმა შს მინისტრს დაავალა ამ საკითხებით დაინტერესება და შესაბამისი პროცედურების ჩატარება. ვაშაძე ამ შემთხვევაში აკონკრეტებს გვარს – არასამთავრობო ორგანიზაცია **„პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“** თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე.

საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიაში საეჭვო პირთა არსებობის შესახებ ვაშაძე (მისი თქმით) მთლიანად არ იზიარებს, მაგრამ თუნდაც ეჭვის გაჩენაც კი საკმარისია, რომ სამართალდამცავებმა მოკვლევა დაიწყონ.

გამოთქმულ ბრალდებებს მყისიერად გამოეხმაურა **ნანა კაკაბაძე**. როგორც იგი აცხადებს – დაასახელონ კონკრეტული გვარები, ვინ ვის გადაუხადა და რამდენი. ეს ცილისწამებაა და სასამართლოში ვიჩივლებ. ყოველივე ჩემს პირად ინტერესებსაც სცდება, აცხადებს იგი.

ა/ო-ს თავმჯდომარე აგორებული ჭორების მიზეზებზეც საუბრობს. ნაციონალებს შიში გაუჩნდათ იმის გამო, რომ მალე სასამართლოები დაიწყებენ პოლიტპატიმართა საქმეების შესწავლას და განხილვას. ყოფილ ხელისუფალთ ადვილი შესაძლებელია, დაპატიმრებები დაემუქროთ. მოარული ხმები არის მიზანმიმართული მცდელობა პოლიტპატიმართა და ზოგადად პროცესის დისკრედიტაციისა.

**იურისტი ნაზი ჯანეზაშვილი,** რომელიც თავად იყო პოლიტპატიმართა და პოლიტდენვილთა საკითხთა შემსწავლელი კომისიის წევრი, აცხადებს, რომ პარლამენტს კონკრეტული პროცედურები უნდა შეემუშავებინა, თითოეულ პატიმარზე ინდივიდუალური დასკვნები უნდა დადებულიყო და ეჭვის საფუძველიც აღარ იქნებოდა.

იურისტის განმარტებით იგი კომისიის მუშაობის მხოლოდ პირველ ეტაპში მონაწილეობდა. იქ სიებში ერთი ან ორი ადამიანის მოთხოვნით არც არავის სვამდნენ და არც არავის იღებდნენ, ყველა გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღებოდა. კენჭის ყრის პროცესი ხელის აწევით ფიქსირდებოდა.

ჯანეზაშვილის განმარტებით მან კომისიაში მუშაობის პერიოდში მოითხოვა ინდივიდუალური დასკვნები, მაგრამ ვერ მიიღო. ეტყობა არ არსებობს, ასკვნის იგი. ასეთ შემთხვევაში, მიაჩნია მას, აუცილებელია ეჭვების გასაფანტად გამოქვეყნდეს პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სტატუს მინიჭებულთა და ამ გზით განთავისუფლებულთა სიები. წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი ეჭვები მომავალშიც გაჩნდება – აცხადებს იურისტი ნაზი ჯანეზაშვილი.

**სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი** კომისიის მუშაობაში საეჭვოს ვერაფერს ხედავს. იგი ამტკიცებს, რომ პოლიტპატიმართა საქმეების 95 პროცენტს პირადად გაეცნო და ატეხილი შავი პიარი ბოროტი მცდელობაა ქულების დაწერისა.

სახალხო დამცველის განმარტებით, როდესაც პოლიტიკოსები მეტად მძიმე ბრალდებებს უყენებენ კომისიის წევრებს, უფრო სერიოზულად უნდა მიუდგნენ საკითხს. აუცილებელია მტკიცებულებების წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ჭორაობის დონეზე დარჩება.

ქვეყნის ომბუდსმენის განმარტებით კომისიის მუშაობა თავიდან ქაოტური იყო. მერე პარლამენტმა მას მუშაობის ვადა გაუხანგრძლივა. დაიწყო საქმეების ინდივიდუალური განხილვა. მსგავსი მეთოდებით რომ წარმართულიყო მუშაობა, სიაში ის პიროვნებებიც მოხვდებოდნენ, ვისაც ამ სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვაო.

საქართველოს №1 უფლებათა დამცველის გადმოცემით, დისკრედიტაციის მცდელობა პირველი არ არის. მაგრამ ვერც ადრე, ვერც ამჯერად, მამტკიცებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს. დისკრედიტაციის მცდელობის მიზეზი ის არის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში საუბარი მიმდინარეობდა ჯაშუშებზე. თითქოს ეს ჯაშუშების და სახელმწიფოს მოღალატეების სიაა, მაგრამ საერთო სიაში ამ ბრალდებით გასამართლებული მხოლოდ 10 ადამიანია – ამბობს ნანუაშვილი და იქვე სვამს კითხვას: დანარჩენ 180 ადამიანზე რატომ არავინ ლაპარაკობს? და საკუთარ კითხვას თავადვე უპასუხებს – ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ქვეყანაში 180 პოლიტპატიმარი იქნება თუ 20. მთავარია ჩვენ მოქალაქეებს პოლიტიკური ნიშნით დევნიდნენ, რაც პარლამენტმა დაადასტურა. წარმოდგენილი სია კი იმ მდგომარეობის რეალური ასახვაა.

ომბუდსმენი ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებასაც შეეხო იმის თაობაზე, რომ პარლამენტში პროცესი არასწორად წარიმართა. ნანუაშვილს კრიტიკა არასწორად მიაჩნია და აცხადებს – საქმეები ევროკონვენციის სტანდარტების დაცვით ინდივიდუალურად განიხილეს. ევროსაბჭოს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებების საკითხებზე მისასალმებელი განცხადება გააკეთა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საქმეების შესწავლა ევროსაბჭოს კრიტერიუმებით მოხდა, ამბობს სახალხო დამცველი.

ნაციონალების მორიგი მცდელობა ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ კრახით დამთავრდა. ამას გარდა მსუბუქად გაილანძღნენ კიდევაც.

**ზაზა ბილიხოძე**

## მომსახურება

# „112“-ის მოკლე საგადასახადო სადავე



**იყო დრო, როცა საგანგებო ვითარებაში აღმოჩენილი ხალხი (ვთქვათ, ხანძრის, შეუძლოდ გახდომის, ქუჩაში ჩხუბისა და ა.შ.) შესაბამის სამსახურს – სახანძროს, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, პოლიციას შესაბამისი სატელეფონო ნომრებით „01“,„03“, „02“ უფასოდ იძახებდა. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით ყველა აღნიშნული სამსახურის გამოძახება ერთიანი, „112“ ნომრით შეიძლება, ოღონდ უკვე ამის გადასახადი დაწესდა 2012 წლის 1 იანვრიდან. თუმცა კი, თავად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „112“-მა მოღვაწეობა შარშან 1 ივნისიდან დაიწყო. ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ნამდვილად გამორჩეული გარემოების ზოგიერთ ასპექტზე გვინდა შევჩერდეთ.**

დავიწყოთ იმით, რომ საგანგებო ვითარებაში (ხანძრის, საავტომობილო ავარიის, შეუძლოდ გახდომის, ძალადობის, სიცოცხლისა და ქონების ხელყოფის და ა.შ.) აღმოჩენილ პირთა დასახმარებლად მრავალ ქვეყანაში დახმარების აღმოჩენის ერთიანი სატელეფონო ნომრით დასაკავშირებელი ცენტრები მოქმედებენ (იგივე ცნობილი 911 ამერიკის შეერთებულ შტატებში), რომლებიც სათანადო სამსახურებს თავად უკავშირდებიან და, საჭიროებისამებრ, შემთხვევის ადგილზე გზავნიან. ანალოგიური ცენტრი თბილისში ლისის ტბის მიდამოებში აშენდა და შარშან დაიწყო მუშაობა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ „112“ სამსახური, რომლის ოპერატორებთან დაკავშირება ნებისმიერ მოქალაქეს დღე-ღამის ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი ტელეფონით – საქალაქოთი თუ მობილურით – ყოველგვარი დამატებითი კოდის გარეშე შეუძლია, ნამდვილად ოპერატიულად და ხარისხიანად მუშაობს. თუ რაოდენ დიდია სამუშაოს ის მოცულობა, რომელსაც ცენტრის ოპერატორები ასრულებენ, მარტო ის გარემოება მოწმობს, რომ ცვლის მანძილზე თითოეულ მათგანს საათში დაახლოებით ათ ზარზე უწევს პასუხის გაცემა და თითოეული მათგანი დიდ თუ მცირე უსიამოვნებას, გასაჭირს, ცუდად გახდომას, ანდა, სულაც, უბედურებას უკავშირდება. სხვა საქმეა, თუ რამდენად სწრაფად რეაგირებენ მიღებულ სიგნალზე სპეციალიზებული სამსახურები, ვთქვათ, იგივე სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სახანძრო სამსახური თუ საპატრულო პოლიცია. ამდენად ამ მხრივ „112“ სამსახურმა, რომ იტყვიან, „გაამართლა“. მაგრამ მის მოღვაწეობას კიდევ ერთი, დღემდე, ალბათ, ყველა ჩვენგანისთვის გაუგებარი გარემოება ახლავს, რომელზეც თავის დროზე ბევრი კი ითქვა, მაგრამ ის ლაპარაკი მარტო ჰაერის რხევებად დარჩა. მხედველობაში გვაქვს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის დადგენილება, რომლის საფუძველზე 2012 იანვრიდან (ანუ „112“ სამსახურის ამოქმედებამდე!) მოქალაქეთა სატელეფონო სააბონენტო ნომრების ანგარიშებიდან ყოველთვიურად 20-20 თეთრის დაქვითვა დაიწყო, რომელიც აღნიშნული სტრუქტურის (ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროს) ანგარიშზე დღემდე ირიცხება.

აღნიშნულმა გარემოებამ იმთავითვე საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიასაც მიმართა, თუმცა ხელისუფალთა მონამორჩილმა ჩინოსნებმა გადასახადის გაუქმება არ ისურვეს. იგივე პოზიციაზე დადგა თბილისის საქალაქო სასამართლოც, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტს მიმართვაზე რაიმე კონკრეტული რეაგირება არ ჰქონია. ამასთან დაკავშირებით იურისტები აცხადებენ, რომ „112“-ის სასარგებლოდ შემოღებული გადასახადი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 38-ე მუხლებს, აგრეთვე ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-12 დამატებით ოქმს ეწინააღმდეგება. უფრო კონკრეტულნი რომ ვიყოთ, ლაპარაკია იმაზე, რომ **მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში სადავოა ის პუნქტი, რომელიც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვადასხვა მოქალაქეს.** კერძოდ, „112“ სამსახურის მომსახურების საფასურის გადახდა მობილური ტელეფონების მხოლოდ იმ აბონენტთა მფლობელებს ეკისრებათ, ვინც მისით სარგებლობაში თვეში 5 ლარზე მეტს ხარჯავს, ხოლო ფიქსირებული (ანუ ქალაქის) სატელეფონო ნომრების აბონენტთაგან იმათ, რომელთა ტელეფონი კალენდარული თვის მანძილზე ერთხელ მაინც იყო ორმხრივად ჩართული (?), ან ფასიანი მომსახურებით სარგებლობდა. იგივე წესი ვრცელდება ასევე ფიქსირებული გეოგრაფიული და არაგეოგრაფიული ზონების სატელეფონო სააბონენტო ნომრებზეც. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოში ამჟამად მობილური ქსელის დაახლოებით 3,8 მილიონი და ფიქსირებული ქსელის თითქმის 1,3 მილიონი აბონენტია.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „112“-ის გადასახადის შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის გარკვეული მოცემულობა ირღვევა, რომლის თანახმად ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის დიფერენცირება მათ შორის რეალურ განსხვავებას უნდა შეესაბამებოდეს, ამ შემთხვევაში კი ეს გარემოება უგულებელყოფილია და კრიტერიუმად ტელეფონით სარგებლობის ინტენსივობა და მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორის მომსახურებაში გადახდილი თანხის ოდენობაა, თითქოს თვეში მობილური ტელეფონით ხუთ ლარზე მეტის დამხარჯავი აბონენტი „112“-ის მომსახურებას სხვაზე მეტად საჭიროებს. ეს გარემოება კიდევ უფრო მკვეთრად წარმოჩინდება თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალია ისეთი აბონენტი, რომელიც, საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა, ან, სულაც, ერთი ოპერატორის რამდენიმე ნომერს ერთდროულად ფლობს.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც მთავრობის აღნიშნული დადგენილება იგნორირებს. კერძოდ, გაუგებარია, თუ რატომ უნდა იხდიდეს იძულებით გადასახადს მოქალაქე, რომელიც რომელიმე საზოგადოებრივი სამსახურის მომსახურებით არ სარგებლობს?

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ამ გადასახადს – სამართლიანად თუ უსამართლოდ – დღესაც, ვისაც დაკისრებული გვაქვს ჩვენი, ასე ვთქვათ, „სატელეფონო აბონენტის ცენზით“, მაინც ვიხდით. საქართველოს ახალ მთავრობას ახლა უამრავი საქმე რომ აქვს, ყველას კარგად გვესმის და თუ ამ „წვრილმანამდე“ დღემდე ვერ მოიცალა, ქვეყანა ამით არ დაქცეულა, მაგრამ საკითხი რომ მოსაგვარებელია, ამაში ეჭვი არ გვეპარება.

**ოთარ ტურაბელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**პოლიტიკური დაძაბულობის ტემპერატურამ გასულ კვირას ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პოლიტიკური შოუ პრემიერ-მინისტრმა გახსნა, ხოლო პრეზიდენტმა, კვირის ბოლოს, დახურა. შუაში კი იყო პარლამენტის ორი ფრაქცია — უმრავლესობისა და უმცირესობის პაექრობა, ანუ უფრო ზუსტად, წყლის ნაყვა, რამეთუ პრეზიდენტის ფუნქციების შეზღუდვასთან დაკავშირებით უმცირესობის დაყოლიება იმთავითვე შეუძლებელი იყო.**

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ სამი მოვლენიდან საზოგადოების ინტერესი გაცილებით მეტი იყო პრემიერისადმი, ვინაიდან ძალაუფლების ბერკეტი პრემიერის ხელშია და რახან ეს ასეა, მისგან მოელის საზოგადოება პრაქტიკულ ნაბიჯებს და არა პარლამენტისგან ან პოლიტიკურ საიძიოში მიმავალი პრეზიდენტისგან.

გაუმართლა თუ არა პრემიერ-მინისტრის თითქმის სამსაათიანმა გამოსვლამ ხალხს — არცთუ იოლი დასადგენია, ვინაიდან ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციას თან სდევდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები. ობიექტური შეფასებით, დადებით-უარყოფითი განწყობა თანაბარი გამოდგა, თუმცა საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე, არა „ნაციონალურზე", პრესკონფერენციამ უდავოდ ნეგატიური შთაბეჭდილება დატოვა.

100 სამუშაო დღის შეფასება ხელისუფლებისთვის ახალი ხილია — უცხოეთიდან გადმოღებულ-ატაცებული და ერთობ მიუხერხებელი ქართული პოლიტიკური სივრცისთვის, განსაკუთრებით ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის. რატომ არის მიუღებელი ასდღიანი შეფასება საქართველოს ან მსგავსი ქვეყნისთვის?

უპირველესად იმიტომ, რომ ახალგაზრდა ქვეყნისთვის, ქორფა პოლიტიკური სისტემითა და პოლიტიკოსებით, ჩამოუყალიბებელი სახელმწიფო სტრუქტურებითა და გაუმართავი აპარატით, შეუძლებელია 100 დღეში გაწეული შრომის ზუსტი ან მიახლოებითი შეფასება, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც წინა ხელისუფლების მიერ ჩაორხრებული საქმე არ იძლევა ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობას.

**100 დღის მუშაობის შეფასება ჩვეულებრივი რამ არის და არა იმიტომ, რომ იქ გაცილებით გონებაგახსნილები არიან, არამედ იმიტომ, რომ ისინი მრავალი ათეული წლის განმავლობაში არიან ასეთები, გარდა ამისა, ნაკლებად კორუმპირებულები, ნაკლებად ზარმაცები. ისინი ნულიდან არ იწყებენ. მათ არ ხვდებათ მიწასთან გასწორებული ქვეყანა, როგორც სამწუხაროდ აქ.**

ოცი წლის დამოუკიდებლად ცხოვრების მანძილზე საქართველოში მეოთხე ხელისუფლებაა. არც ერთ მათგანს არ მისცემია შანსი იმისა, რომ თუნდაც მცირე პრობლემებით დაეწყო საქმე. ოთხივე ხელისუფლება ახლიდან იწყებდა ყველაფერს. ასე ხომ ამჟამადაცაა. **ივანიშვილის ხელისუფლებას არა მარტო კოჭლი ქვეყანა ერგო წილად, არამედ გაყოფილი მმართველობა, მტრად ქცეული ოპოზიცია.**

მიუხედავად ამისა, მან რაღაც მოახერხა 100 დღის განმავლობაში, რის შესახებაც ვრცლად და ამაყად ილაპარაკა პრესკონფერენციის დასაწყისში. ამდენად, რომ არ გავიმეორო, მიღწევებზე არ გავამახვილებ ყურადღებას, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ საზოგადოებას მიღწევები ცოტად მოეჩვენათ.

**მაინც რა არის ივანიშვილის უმთავრესი მიღწევა? უპირველესად ის, რომ საზოგადოებაში 9 წლის განმავლობაში არსებული შიშის ფაქტორი თუ სრულიად არა, მნიშვნელოვნად დაიძლია. დაიწყო სამართლიანობის აღდგენის პროცესი, დამნაშავე მოხელეთა დაკავება-დაკითხვები და სხვა. ციხიდან განთავისუფლდნენ პოლიტიკური პატიმრები — წინა ხელისუფლების მიერ გამოგონილი დანაშაულისათვის დასჯილნი.**

ამასთანავე, საზოგადოება კატეგორიულად მოითხოვს დამნაშავე წინა ხელისუფალთა დასჯას. ის ვერაფრით ეგუება აშკარა დამნაშავეთა მცირე ხნით დაკავებას და გირაოთი გამოშვებას. საზოგადოების მოთხოვნები ანგარიშგასაწევია. ზედმეტი ლოიალურობა უარყოფითად აღიქმება ხალხში, თან ხელისუფლებას უარყოფით ქულებს უგროვებს.

ივანიშვილმა ბრძანა მიღწეულ წარმატებებზე, რომლის ნაყოფი მერე გამოჩნდება. ამით ის შეეცადა, გადაეფარა უსაფუძვლო წინასაარჩევნო დაპირებები ენერგომატარებლებზე გადასახადის შემცირების კუთხით. დანაპირები შემცირება შეუსრულებელი დარჩება, თუმცა უმნიშვნელოდ მაინც იქნება.

სულ არარაობას „უმნიშვნელო" სჯობს. ჩემის აზრით, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, რომ მას თავის ქების ნაცვლად, გულწრფელად ეთქვა — ამ ეტაპზე ტარიფების დაპირებული რაოდენობით შემცირება არ მოხერხდება, თან ბოდიში მოეხადა. პირიქით, ივანიშვილმა უყოყმანოდ აღნიშნა, რომ მან და მისმა გუნდმა ყველა დანაპირები შეასრულეს და რაც ვერ, წლის ბოლომდე ან მეოთხე წლისთავზე შესრულდებაო.

**როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრი მართლაც დარწმუნებულია იმაში, რომ მან შეასრულა დანაპირები. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ იქნება, რომ 2-3 წლის შემდეგ გვითხრას — მე ყველაფერი გავაკეთე — თქვენ ვერ ხედავთო. მსგავსს ხალხი მიჩვეულია სააკაშვილის ხელისუფლებისგან და ამდენად აღარ „ჭამს". რომ იტყვიან — ჰა ბურთი და ჰა მოედანი. შემოდგომაც მალე მოვა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ პრემიერის დაპირების ნაწილი მაინც შესრულდება.**

ძნელია დაიჯერო ბენზინზე ფასების შემცირება, ვინაიდან საწვავის საერთაშორისო ბაზრიდან გამომდინარე, ათთეთრიან დაკლებას ხელისუფლების მიზანმიმართულ მოღვაწეობას ვერ მიაწერ. ბენზინის შესყიდვა-გასაღების სფეროში არსებული მონოპოლიური ყაჩაღობის სისტემა, სერიოზულ შესწავლა-გაანალიზებას საჭიროებს, რაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ხდება, და როგორც ჩანს, არც მოხდება ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბებამდე.

სერიოზულად შესასწავლია წამლების ფასების საკითხი. ივანიშვილისა არ იყოს, ამ დარგში მომუშავე ფირმებმა მართლაც დააკლეს ფასები ზოგიერთ მედიკამენტს, მაგრამ ზოგიერთ ისეთს, რომელსაც უზომოდ გაზრდილი ფასები ჰქონდა და არა სხვას. ავიღოთ მაგალითად „ალზეპილი" — წამალი, რომელიც 180 ლარი ღირდა, 80 ლარამდე შემცირდა, ანუ წამლის გუშინდელ ფასს 100 ლარი მოაკლდა.

მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ რომელ ქვეყანაში, თუ არა ჩალით დახურულში, დაიკლებდა ფასები ესოდენ მკვეთრად? როდის იყო „პე-ეს-პე" მართალი, როდესაც 180 ლარად ყიდდა წამალს თუ დღეს, როდესაც 80 ლარად ყიდის? „საწყალი" „პე-ეს-პე", ასე ხომ შეიძლება გაკოტრდეს? მაგრამ ეს ფირმა და მისი შეფი აშკარად არ ჩანს ისეთი, რომ თავს რაიმე მოაკლოს, მით უმეტეს მომხმარებლის სასარგებლოდ — დასტურად „ნიუ ჰოსპიტლის" (ფირმის საკუთრება) „მომსახურეობაც" კმარა. ასე რომ, პრემიერის ხმამაღალი განცხადება წამლების გაიაფებასთან დაკავშირებით, ჯერაც ბევრ შრომას მოითხოვს.

პრესკონფერენციამ ბევრი ისეთი ნიუანსი გააშიშვლა, რომელმაც არცთუ ჯანსაღი რეაქცია გამოიწვია ხალხში. მაგალითად, პარლამენტის თბილისში გადმოტანის საკითხი. ბატონ ბიძინას აზრით, ამ პროცედურის განხორციელება იმიტომ არის აუცილებელი, რომ იოლად აკონტროლოს პარლამენტი. სწორედ ეს ფრაზა აიტაცა უმცირესობამ და მომაბეზრებლად, თუმცა სამართლიანად ატრიალა საპარლამენტო დებატების მსვლელობის დროს.

არადა, ივანიშვილი მართალი იყო, ოღონდ თავისი სიმართლე სჯობდა გულში შეენახა, ხოლო საჯაროდ სხვა სიტყვები გამოეყენებინა.

სააკაშვილს არაერთი ახირება განუხორციელებია ცხრაწლიანი მართველობის პერიოდში. მათ შორისაა პარლამენტის ქუთაისში გადატანაც. სახელმწიფო დაწესებულებების საქართველოს სხვადსხვა კუთხეებში მიმობნევა აშკარა დანაშაულია, რამეთუ აუარესებს ქვეყნის მართვის სისტემას, ზრდის საბიუჯეტო ხარჯებს, ასუსტებს ოპერატიულობას, შლის ადამიანურ კავშირებს და სხვა.

**მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში, გარდა თითო-ოროლისა, ვერ იხილავთ პარლამენტს დედაქალაქის გარეთ. ქუთაისში გადატანილმა პარლამენტმა, კანონშემოქმედებითი მუშაობა და ოპერატიულობა რომ დააკნინა, ფაქტია. პარლამენტართა და პარლამენტის აპარატის მუშაკთა აქეთ-იქით სირბილმა არ შეიძლება დადებითად იმოქმედოს მათი შრომის ნაყოფიერებაზე. მთავრობა და პარლამენტი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი ხელოვნური გაყოფა დანაშაულია.**

პარლამენტის ქუთაისში ყოფნა უცხოელებსაც ურთულებს საქმეს. მცირე ხნით ჩამოსული უცხოელი პარლამენტარები თავიანთი ქართველი კოლეგების სანახავად ქუთაისში უნდა ჩავიდნენ ან ქართველ პარლამენტარებს თბილისის რომელიმე სასტუმროში შეხვდნენ, რაც ზედმეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული. საქართველოს ბიუჯეტი ნამდვილად არ არის იმ ზომის, მსგავსი ახირება აიტანოს.

გარდა აღნიშნული დისკომფორტისა — მიუღებელია ქუთაისში პარლა-

# ახალი ხელისუფლების მუშაობის 100 დღე



მენტართა და აპარატის მუშაკთა მიერ დაქირავებული ბინების საფასურის ბიუჯეტიდან ხარჯვა. და ეს ყველაფერი ე.წ. ქუთაისის განვითარების იდეის გამართლებით. ქალაქის განვითარებისთვის საფუძვლიანი პროექტია შესამუშავებელი, რომლის მიხედვითაც უნდა შემუშავდეს ეკონომიკურ-კულტურული გეგმის, ადგილობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მსგავსი რამ უნდა შემუშავდეს ყველა ქალაქისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის თავკომბალობა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება.

**რა მოიგო ბათუმმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანით? არაფერი. ქვეყანამ კი იზარალა, თანაც სერიოზულად. ერთი კაცის, თუნდაც პრეზიდენტის ხუშტურზე არ უნდა დადიოდეს ქვეყანა და ეს უნდა შეიგნოს ყველამ — პოლიტიკაში დღეს მყოფმა თუ პოლიტიკაში მოსვლის მსურველმა. ჰარი-ჰარად ნასროლ იდეებს არა მარტო მსუყე საბიუჯეტო თანხები ეწირება, არამედ ფუჭი შრომაც.**

ივანიშვილის მიერ უნებლიედ (ვფიქრობ ასე იყო) წამოსროლილ წინადადებას პარლამენტის კონტროლთან დაკავშირებით სხვაც მოჰყვა, რომელმაც აშკარად დაგვანახა, რომ კონტროლის სურვილსა და კონტროლის განხორციელებას შორის დიდი ზღვარია.

**პარლამენტის კონტროლის მსურველ პრემიერს მინიმუმ კონტროლქვეშ უნდა ჰყავდეს ის ორგანო, რომელიც უდავოდ მოითხოვს მის, როგორც პრემიერ-მინისტრის მკაცრ კონტროლს — ეს მთავრობა და პრემიერის აპარატია. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა — ერევანში, დავოსში ვიზიტებმა და პრესკონფერენციამ სრულიად საწინააღმდეგო რამ გამოავლინა, ანუ უკონტროლობა, ანუ სახელმწიფო მართვის მანქანის ჩამოუყალიბებლობა ანუ აუცილებელი სახელმწიფო სუბორდინაციის არ არსებობა, სახელმწიფო მოხელეთა სრული უცოდინარობა ამ არცთუ უმნიშვნელო საქმისა.**

ჩვენდა, და რაც მთავარია ივანიშვილის სავალალოდ, პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ ვიცე-პრემიერისა და თავდაცვის მინისტრის ალასანიას უცხოური, მე ვიტყოდი სალაღობო ვოიაჟების შესახებ. ის, რომ ალასანია არასერიოზული პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებდა, იმთავითვე, ანუ ივანიშვილამდე იყო ცნობილი, რის შესახებაც არაერთხელ დაიწერა პრესაში. ისიც ცნობილი იყო, რომ ჭარბამბიციანი ყმაწვილი, თანამდებობის პირობებში, ძნელად დასაკავებელი იქნებოდა. ისიც ცნობილი იყო, რომ მიუხედავად სახელმწიფო მოხელეობაში გატარებული წლებისა, ნაკლებად ერკვეოდა თვით სახელმწიფო მანქანაში და ა.შ.

**მინისტრი თავს უფლებას აძლევს, პრემიერის დაუკითხავად გაემგზავროს უცხოეთში, თანაც სამ ქვეყანაში. მსგავსი გაუგებრობა არსად არ ხდება. გამგზავრების შესახებ ხელქვეითთა კონტროლის მსურველი პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტებისგან იგებს საკუთარი მინისტრის მოგზაურობის თაობაზე.**

სახელმწიფო აპარატი, თანაც ნებისმიერი ქვეყნისა, იერარქიული, რანგობრივი დაქვემდებარების მთავარი ინსტრუმენტია. აქედან მოდის სახელმწიფო დისციპლინა, შრომისადმი გულწრფელი დამოკიდებულება, სახელმწიფო დავალებების შესრულება, მოხელეთა ერთმანეთისადმი და ქვეყნისადმი პატივისცემა.

აწყობილი სახელმწიფო მანქანა წარმატებით უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო სისტემის ნებისმიერ რგოლს, ვინაიდან, ქვეყანა სახელმწიფო რგოლების ეფექტიან მუშაობაზეა დაყრდნობილი. როგორც კი ქვედა რგოლები შეამჩნევენ ზედათა ცულლუტობას, ზერელეობას, კორუმპირებულობას, გულს აიყრიან პატიოსან შრომაზე და ზემდგომთა დარად ლაზღანდარობას მიჰყოფენ ხელს.

სახელმწიფო აპარატის აუწყობლობამ, განსაკუთრებით ბოლო ცხრა წლის განმავლობაში გამოვლენილმა შეგნებულმა თუ შეუგნებელმა ქმედებამ, ავხორცობამ, სახელმწიფო ფულის ხარჯვამ და სალაღობო ვოიაჟების მოწყობამ, შეუყენა წყალი ნაცებს და არა მარტო მათ, არამედ სახელმწიფოს.

**ფუჭად ჩაიარა თავისუფლების ოცმა წელმა არა მარტო ქვეყნისთვის, არამედ სახელმწიფო მანქანის ჩამოყალიბებისთვის. და მე-20 წლისთავზე რაც დავინახეთ ისაა, რომ მსგავსი მანქანა საქართველოში აშკარად ბერწია. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც პრემიერ-მინისტრმა არ იცის სად იმყოფება მისი მინისტრი. მინისტრმა არ იცის, რომ კაბინეტიდან გასვლის წინ პრემიერს უნდა შეუთანხმდეს — სად და რისთვის მიდის. თუ იცის, და შეგნებულად აკეთებს — პრემიერის ფეხებზე დაკიდებაა. და ეს ორივე შემთხვევა — დანაშაულია.**

**არის სხვა საკითხიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი — რა ფულით იმყოფებოდა ალასანია უცხოეთში? არა მგონია, საკუთარით. ბიუჯეტის ფულით, ანუ საქართველოს მოსახლეობის შრომით მოპოვებული ფულით. რა გამოდის? ის, რისთვისაც ნაცებს ვლანძღავდით, „ოცნებელთა" ოცნებაც ყოფილა?**

ნაცებმა უცხოეთში სისტემატური ხეტიალის ტრადიციას შევარდნაძის დროს, ჟვანიას პარლამენტში ჩაუყარეს საფუძველი. მაშინ ისინი თავს ახალგაზრდა რეფორმატორებს უწოდებდნენ და აქაური მძიმე ცხოვრებიდან განსატვირთავად, სისტემატურ უცხოურ ვოიაჟებს მიმართავდნენ — თვეში სამჯერ მაინც, თან „გაუთვალისწინებელი" ხარჯებისთვის პარლამენტის ბუღალტერიიდან ხუთ-ხუთ ათას დოლარს იდებდნენ ჯიბეში, გარდა სამივლინებო თანხებისა.

და ეს იმჟამინდელ გაღლეტილ საქართველოში. მოგზაურობა-მოგზაურობისთვის და არა სახელმწიფო საქმისთვის. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვოიაჟური პროგრამა კიდევ უფრო დახვეწეს, რისთვისაც მილიონობით სახელმწიფო ფული შთანთქეს. არადა რა სჯობს ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს, ლიმუზინებს, თვითმფრინავის პირველი კლასის სალონებს, სხვა სიკეთეებს?

როგორც ჩანს „ოცნებელებსაც" ხიბლავს მსგავსი რამ, არა მარტო უცხოური ვოიაჟები, არამედ პრემიებიც. 100 დღის განმავლობაში მთავრობამ, როგორც „ავი" ენები ამბობენ, პრემიით სამჯერ დაისაჩუქრა თავი. ხალხს? — სამი თითის კომბინაცია და „მსუყე" დაპირება — პენსიის მიზერული თანხის გაზრდით.

ახალ ხელისუფლებას სულ სხვა მოლოდინით ეგებებოდა ხალხი. უპირველესად სამართლიანობის აღდგენის სურვილით, გაქსუებული, გათავხედებული ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული ცხოვრების წესის გაუქმებით, მოხელეთა და დანარჩენ საზოგადოებას შორის სააკაშვილის მიერ შემოღებული სოციალური ზღვარის შემცირებით და ა.შ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს არ ხდება. როგორ არ ჰგავს ოლანდის (საფრანგეთი) ახალ ხელისუფლებას! ოლანდმა და მისმა მთავრობამ საფრანგეთის პრეზიდენტის კაბინეტში შესვლისთანავე, საგრძნობლად შეიმცირა ხელფასები. პრემიებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ფეშენებელური ლიმუზინებიდანაც ეკონომიურ ავტომანქანებზე გადასხდნენ და ა.შ. არადა ფართო საზოგადოებაში, რაოდენ დიდ სიყვარულს მოიპოვებდა, ეს რომ გაეკეთებინა ივანიშვილის მთავრობას?!

როგორც ჩანს, ქართველობა ვერ უძლებს სახელმწიფო ცდუნებას, ანუ ძალას, რომელსაც მაღალი ხელფასები, ნათესავების დასაქმება, მაღალი პრემიები, გაუთავებელი უცხოური ვოიაჟები, სხვადასხვა სახის ბიზნესის „კრიშობა" და სხვა „სიკეთეები" მოაქვს.

**„რა გაეწყობა — ასეთი ვართ ქართველებიო", — თავი იმართლა პრემიერმა, ადამიანმა, რომელიც პირადად უნდა ებრძოდეს ჩამოთვლილ მანკიერებას, სრულიად საქართველოს უნდა უმტკიცებდეს, რომ ასეთი ქართველი და საქართველო მიუღებელია. ვინ უნდა აღზარდოს ხალხი, თუ არა პატიოსანმა, ჭკვიანმა მთავრობამ, პატიოსანმა, ჭკვიანმა და არა ხარბმა, გაუმაძღარმა ინტელიგენციამ, გამსახურდია რომ „წითელს" უწოდებდა?**

პრემიერის მიერ საქმის ცოდნა სხვა „ნიუანსებიდანაც" გამოჩნდა. პირველი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან დაკავშირებული ამბავი, როდესაც ე.წ. დიპლომატმა ვერ შეასრულა პრემიერის დავალება და ვერ მოამზადა სომხეთში ვიზიტისთვის შესაბამისი მასალა - დიპლომატიურ ენაზე, სასაუბრო რომ ჰქვია.

მედიის მიერ დიპლომატიის „კორიფედ" მონათლულმა ვაშაკიძემ ვერ შეასრულა დიპლომატიის ანბანი და თავის გასამართლებლად ყველაფერი ივანიშვილის საგარეო პოლიტიკის არასწორ კურსს მიაწერა, არადა მინისტრის მოადგილის ან ნებისმიერი დიპლომატისთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს სასაუბროს მომზადება. ბუნებრივად იბადება კითხვა - სად იყო მინისტრი პრემიერ-მინისტრის უაღრესად მნიშვნელოვანი ოფიციალური ვიზიტის წინ? ნაცვლად იმისა, აქტიურად ყოფილიყო ჩართული ვიზიტის მზადებაში, თვით იმყოფებოდა ვიზიტით ბალტიისპირეთში.

ორიოდ სიტყვით ე.წ. ოფიციალური ვიზიტის თაობაზე. საზღვარგარეთ გასეირნების მსურველი მინისტრები, მათი მოადგილეები და ა.შ. პატარა შანს არ უშვებენ ხელიდან, გაიფორმონ მივლინება. მიწვევები უამრავია სხვადასხვა ქვეყნიდან, ცხადია, მიწვეულის ხარჯზე. ასე და ამრიგად მიემგზავრებიან ჩვენი „სახელოვანი" მინისტრები, მივლინებებში. და არც ერთი დოკუმენტი, თუნდაც ერთფურცლიანი, მივლინების შედეგების შესახებ! მინისტრის წერილობითი ანგარიში საჭირო დოკუმენტი იქნებოდა შემდგომისათვის.

ახალი, ახლიდან იწყებს ყველაფერს — თითქოს ახალი პლანეტა აღმოეჩინოს. საქართველო იმ მნიშვნელობის სახელმწიფო არ არის, რომ მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დაოთხილმა ირბინოს მთელს მსოფლიოში, მას ისედაც ბევრი ექნება გამგზავრების შანსი იმ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, რომელიც აუცილებელია ქვეყნისთვის. მინისტრის ყოველდღიური საქმიანობა სამინისტროს რგოლების დახვეწა-ჩამოყალიბებას უნდა ეთმობოდეს.

სამინისტროს უსუსტეს მუშაობაზე მეტყველებს პრემიერ-მინისტრისთვის ყოველდღიური შესაბამისი ინფორმაციის მიუწოდებლობა, რაც თვალნათლად გამოჩნდა ივანიშვილის დავოსში ყოფნის დროს. ჟურნალისტის კითხვაზე, რას იტყოდა პატრიარქის პუტინთან შეხვედრასთან დაკავშირებით, გაკვირვებულმა ივანიშვილმა გულწრფელად თქვა - არაფერი ვიციო, შემდეგ ვიღაცას უთხრა — რატომ არ მითხარიო.

ჩამოთვლილი მაგალითები ვიღაცას უმნიშვნელოდ შეიძლება მოეჩვენოს. მათ შევახსენებ, რომ სწორედ „უმნიშვნელო" საქმეების შეუსრულებლობა იწვევს სახელისუფლებო ბზარების გაჩენას, ისეთის, რომელიც ნგრევის მომასწავებელია.



**ახალი ხელისუფლების მუშაობის 100 დღე, გარდა დაპირებული საამური ცხოვრებისა, დასაფიქრებელიცაა. ფიქრს კი ჯერაც ჩამოუყალიბებელი სახელმწიფო მანქანის გაუმართაობა იწვევს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ღრუბლებში მფრინავი ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს დაეშვება ბედკრული ქვეყნის მიწაზე და ხელდაკაპიწებული შეუდგება შავ-თეთრი სამუშაოების კეთებას.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ანტიკოჰაბიტაცია



# ონავარი

## მერედა, როდემდე შეიძლება ამის მოთმენა?!.

**ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში მოიძებნებიან ონავარი და ანცი ბიჭები, შეიძლება გოგონებიც, მაგრამ ონავარი პრეზიდენტები? ნურას უკაცრავად, ასეთ პრეზიდენტებს ტყუილად დაუწყებთ ძებნას. გამონაკლისები ვართ მხოლოდ ჩვენ, ქართველები, რომელთაც განგებამ გვიბოძა ბედნიერება — გვყავდეს ონავარი, გიჟმაჟი და ანცი პრეზიდენტი, რომელსაც შეუძლია თავის გუნება-განწყობისა და დილის საარზე წამოვლილი ხუშტურის მიხედვით „მართავდეს“ და „განაგებდეს“ ქვეყნის ბედიღბალს.**

რაღა თქმა უნდა, ონავარი გოგო-ბიჭებისგან განსხვავებით, ონავარ პრეზიდენტს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი, მოქმედებისა და საქციელის, უფრო სწორად, უსაქციელობის ხელშეუვალი უფლებები და მასშტაბები, თანაც კონსტიტუციურად ხელდასხმული და გარანტირებული. ონავარმა ბიჭმა ბევრი-ბევრი ქუჩაში, სკოლაში, სათამაშო მოედნებზე ითავხედოს, იანცოს, აყალმაყალი ატეხოს, შინ დაბრუნებულმა დალაგებული ოთახები აურიოს, წიგნები, სათამაშოები, სასწავლო ნივთები მოაბნიოს და მთელი დღის „ნაღვაწი“ ამით დაასრულოს. აი, პრეზიდენტი კი, თუკი ის ნამდვილად ონავარი და ანცია, მარტო ქვეყნის არევდარევვით ფონს ვერ გავა, ის, ამასთან ერთად, ერის წინაშე მოვალეა — სიტყვით ქვეყანა აშენოს, საქმით კი დაანგრიოს, იყოს სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველ-უზურპატორი, ურჩი და განსხვავებული აზრის მქონეთა ციხე-საპყრობილეებში გამომმწყვდეველი, ნიადაგ საზღვარგარეთ გოშიასავით მარბენალი და უცხოეთის ქვეყნებში დემოკრატიის სახელით პიარტყუილების დიდმომგებიანი ექსპორტიორი.

მაგრამ, ალბათ, ჩვენი ანცი პრეზიდენტის სრულყოფილად დასურათხატება გაგვიჭირდება, თუ ამ ზოგადი უნარ-ჩვევებიდან, რაც ზემოთ ვახსენეთ, ცალკე არ გამოვყოფდით ყველაზე უფრო ნიშნეულ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებითაც სააკაშვილისეული პერსონა უნიფიცირდება. ასეთთა შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ მისი მორბენალ-სპრინტერობა, რომლითაც ჩვენი პრეზიდენტი ასერიგად გამორჩეულია მსოფლიო ქვეყნების პირველი პირებისგან. სხვას რომ თავი გავანებოთ, ყველას კარგად გვახსოვს (საკუთარი თვალით გვინახავს) ისინი (უცხოელები) როგორი თავგამოდებითა და ენთუზიაზმით ცდილობენ ხოლმე ოფიციალურ შეხვედრებზე მიშას დაწევას (რომ აღარაფერი ვთქვათ გასწრებაზე), მაგრამ არა და არ გამოსდით და, ალბათ, არც როდისმე გამოუვათ იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ბავშვური სიანცე და სპორტული სიჩაუქე ჩვენი პრეზიდენტისთვის თანდაყოლილი თვისებებია. ეს ის თვისებებია, რომელთა მეშვეობითაც მიშას დაჯაბვნით არა თუ უცხოელი კოლეგები, ნაცების ერთიანი გუნდის შინაური ყოჩებიც ვერ დაიკვეხნიან.

ფაქტები მიჭირავს ხელთ, ბატონებო, და მიშას მთელ დუნიაზე გამორჩეული უნარ-ჩვევების გამო სიამაყით ამიტომ გეტრაბახებით. მით უფრო სატრაბახოა, რომ მან ეს ჩვევები ჯერ კიდევ მაშინ გამოიმუშავა, როცა პოლიტიკურ სარბიელზე ახლად მოვლენილს ფეხები ახალშობილი ხბოსავით უკანკალებდა, მაგრამ სათავისო ჟინ-ვნებებს მაინც იორღა ცხენივით მიაჭენებდა...

— ეს მოხდა 2003 წელს, — იხსენებს თვითმხილველი, — მაშინ ცეზარ ჩოჩელი ახალგორში შევარდნაძის ბლოკიდან იყრიდა კენჭს. მისი კონკურენტი ნაციონალებიდან სახელგანთქმული ფეხბურთელი ვოვა გუცაევი იყო, რომელსაც ამომრჩევლებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილიც ახლდნენ. ახალგორელებმა, როგორც კი არასასურველი სტუმრები შენიშნეს, გამოცვივდნენ, ღობიდან მარგილები ამოგლიჯეს და უცენზურო შეძახილებით გამოეკიდნენ. სააკაშვილმა საშიშროება რომ იგრძნო, იმსიგრძე ნაბიჯებით მოკურცხლა, რომ მისი დაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა (მაშინ ის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ მუშაობდა და სახურავებზე სირბილით კარგად ნავარჯიშევი გახლდათ), მერაბიშვილს კი იოლად დაეწივნენ და კარგა მაგრად მიბეგვეს(!).

ცხინვალის რეგიონიდან კუდამოძუებული სააკაშვილი 2008 წელსაც ვნახეთ, მაგრამ ამჯერად უკვე არა საარჩევნო კამპანიიდან, არამედ რუსეთ-საქართველოს ომიდან ქუდმოგლეჯით გამოქცეული ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი, რომელსაც მოიერიშენი არა ღობიდან ამოგლეჯილი მარგილებით, არამედ ტანკებითა და ნაღმმტყორცნებით მოსდევდნენ. სააკაშვილი, საკუთარი გონიერებისა და უზადო მსრბოლელისთვის დამახასიათებელი მონაცემების წყალობით, ამჯერადაც მოხერხებულად დაუსხლტა მდევარს და დედაქალაქს თავი უშიშრად შეაფარა.

მას შემდეგ, როგორც მეისტორიენი იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მორბენალი და მფრთხალი პრეზიდენტის საგმირო და სალექსო საქმენი ერთგვარად დავიწყებას მიეცა, თუმცა, პოლიტიკურ მინდორზე მოულოდნელად შემოვარდნილმა ახალმა საჯილდაო მუხტმა, ევროპელთაგან დემოკრატიის მეტრად მონათლულმა ეგრეთ წოდებულმა კოჰაბიტაციამ, მოქმედ ხელისუფალთა და ოპოზიციონერთა შორის ისეთი ჩორთი ჩამოაგდო, რომ ისინი ურთიერთმოსურნე თანაცხოვრებისა და თანაარსებობის ნაცვლად ურთიერთმოქიშპე მტრებად აქცია. აქ, რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი ძალით იფეთქა ონავარი (იგივე ანცი) პრეზიდენტის შემოქმედებითმა ნიჭმა და მისდა სასახელოდ ახალი უნარ-ჩვევების მთელი კასკადი გამოფინა. სააკაშვილს, ბუნებრივია, ვერც ადრე ვუსაყვედურებდით დემაგოგიის, პროვოკაციის, ქოსატყუილობის, ავანტიურისა თუ თავხედობის ნაკლებობას, მაგრამ ამ ეტაპზე მისმა ყველა ამ თვისებამ (და არა მარტო ამან) გაზაფხულის წვიმებზე მოვარდნილი მდინარესავით იმატა.

აქაოდა საოცნებო კოჰაბიტაციას გამოვკარი ხელიო, სიანცემოძალებულმა სააკაშვილმა საკუთარ თავს იმაზე გაცილებით მეტის ქმნის უფლებები მისცა, ვიდრე არჩევნებში დამარცხებულ და ოპოზიციონერად მოვლენილ, თანაც ვადაგასულ პრეზიდენტს ეკადრებოდა. ისე, მისი ნამუსის მხილველთ, სულაც არ გვიკვირს, რომ სააკაშვილი ბევრ რასმე უკადრებელს კადრულობს, ფუნქცია დაკარგული აქვს და ესაქმება თუ არ ესაქმება, ყველაფერში ცხვირს ჰყოფს. ადრეც უყვარდა მოგზაურობა, ერთთავად ცაში იყო გამოკიდებული და ახლა მით უმეტეს, უსაქმურობისგან სულ აიშვა თავი, დღედაღამ თვითმფრინავში ან ავტომანქანაშია ჩაფრენილი და ზევით-ქვევით დარბის უფუნქციოდ (ამ დროს მისი ყოველი გადაადგილება სახელმწიფოს თურმე 50 ათასი ლარი უჯდება!). მცირე ჯგუფიღა შემორჩა პრეზიდენტს უერთგულესი ნაციონალებიდან და ისიც რომ არ ჩამოეშალოს, იძულებულია იაროს არა მარტო ბათუმში, ქუთაისში, ყვარელსა თუ ხულოში, არამედ მარტვილში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ფოთში და ყველგან, სადაც კი შეუძლია ახალ ხელისუფლებას რაიმე ხინჯი მოუძებნოს (ამას წინათ, მაგალითად, აჭარაში მინდორში გადაყრილ გაფუჭებულ მანდარინს მიაგნო, რამაც სასტიკად განარისხა) და ნაცების მიერ უნიკალურად ნაშენები ქვეყნის ნგრევაში დაადანაშაულოს. აბა როგორ, პრეზიდენტმა თუ მეოცნებე ხელისუფალთ კუდში არა სდია და ყოველ ფეხის ნაბიჯზე კვანტი არ გამოსდო, კოჰაბიტაცია სხვაგვარად რა სარგებლის მომტანია(!).

საერთოდაც, ჩვენს ალმაშენებელ პრეზიდენტს ჰგონია, კოჰაბიტაცია იმისთვის არსებობს, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერებსა თუ რიგით პოლიტიკოსებს კატათაგვობანა ეთამაშოს, დღენიადაგ აგინოს, აშანტაჟოს და ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას ქვეყნის რაციონალურად მართვის ხალისი წაუხდინოს. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ამ დღეებში, როცა სულსწრაფმა სააკაშვილმა პარლამენტის მიერ მისი წლიური ანგარიშის მოსმენის გადადება პირად შეურაცხყოფად აღიქვა და ამ ღონისძიების გამართვა სასწრაფოდ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბრძანა. რა საშიში და გამაოგნებელი შედეგიც მოჰყვა ანცი პრეზიდენტის ამ წინდაუხედაობას, ყველამ საკუთარი თვალით ვნახეთ, თუმცა, ქვეყნის სვე-ბედზე მაფიქრალი სააკაშვილი ამ შემთხვევაშიც შეეცადა 8 თებერვლის არეულობა და ცემა-ტყეპა ივანიშვილის ხელისუფლებისთვის გადაებრალებინა და არა პროვოკაციის გამომწვევ ნაცუმცირესობისა და უგულავასთვის, რომელმაც კანონი ფეხებზე დაიკიდა, პროკურატურაში მისვლაზე „ატკაზი ქნა“ და გამომძიებლები დასაკითხად საკუთარ კაბინეტში მიიწვია!..

ღმერთსა მადლი, ყველაფერი ამით არ დასრულდა. 8 თებერვლის ფრიად უსიამოვნო ინციდენტის წყალობით, ონავარ პრეზიდენტს კიდევ ერთხელ გაუჩნდა შანსი, საკონსტიტუციო ცვლილებებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ოცნების“ თავკაცებთან დაუსრულებული შეხვედრა-მოლაპარაკებებით თვითონაც გვარიანად გაერთოს და დამქანცველი პინგ-პონგის თამაშით ოპონენტებსაც თავი შეაქცევინოს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ჩვენი ნამდვილი სახე

# „ჭაღარა თბილისო ჩემო“

## ცხოვრების დონით ბოლოში მივჩანჩალებთ...

**ამერიკელ სამხედრო ექსპერტთა ბოლო გამოკვლევით, უახლოეს მომავალში, დაახლოებით 20 წლის შემდეგ, დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი ქალაქებში იცხოვრებს. ამდენად, გასაკვირი არ არის ის ინტერესი, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მსოფლიოს ქალაქებს სხვადასხვა ურბანული, გარემოსდაცვითი თუ სოციალური კრიტერიუმით შეფასების საფუძველზე გარკვეულ, თუ შეიძლება ითქვას, „იერარქიულ მწკრივში“ კუთვნილ ადგილს უჩენს.**

ერთ-ერთი ბოლო ასეთი გამოკვლევა ადამიანური რესურსების კონსულტირების, კვლევებისა და საგამოძიებო მომსახურების საერთაშორისო კომპანიის „მერკერის“ მონაცემებით, რომელმაც ცხოვრების პირობებისდა მიხედვით რეიტინგის დასადგენად, სხვადასხვა ქვეყნის 221 ქალაქი გამოიკვლია, ამ ნუსხაში **თბილისი სამარცხვინო 214-ე ადგილზე „მოათავსა“**. ექსპერტთა აზრით, ამ მაჩვენებლის მიხედვით, არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოში **ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე ავსტრიის დედაქალაქ ვენაშია, ხოლო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“, შესაბამისად, შვეიცარიის ციურიხსა და გერმანიის მიუნხენს ერგოთ.**

თავისთავად ის გარემოება, რომ თბილისი აღნიშნულ ნუსხაში ასე „შორსაა წასული“, რაღა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო საწყენი, თუ არა მთლად საგანგაშო, ის გარემოებაა, რომ **იმ კრიტერიუმებს შორის, რომელთა მიხედვით თბილისი ევროპაში მიღებულ სტანდარტებს ვერ პასუხობს, უწინარესად არის ეკოლოგია, ინფრასტრუქტურა და ჯანდაცვა.**

ევროპელ სპეციალისტთა დასკვნას ეჭვქვეშ არავინ არ აყენებს, მაგრამ თუ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომ იტყვიან, „წამოკნავლება“ მაინც შეგვიძლია, დედაქალაქის ეკოლოგია და, მით უმეტეს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე უმძიმეს მდგომარეობაში რომ არის ეს, ალბათ, ჩვენზე უკეთ არც უცხოელმა ექსპერტებმა იციან. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერია საკუთარ მოსახლეობას ნაგვის გადასახადით ისედაც გამოფხეკილი ჯიბეების ბოლომდე დაცლას განაგრძობს, რა მიზნითაც „დენის მათრახი“ და „წყლის ჭავლი“ აქვს მომარჯვებული, არც ნაგვის გატანაა იმ დონეზე, რომ უნდა იყოს, არც თავად ნაგავსაყრელებისა და ნაგვის გადამმუშავებელი ქარხნის საკითხია გადაჭრილი. ამას თავისუფლად შეიძლება დავუმატოთ თბილისთან ახლოს, გარდაბნის რაიონში წლების მანძილზე ბირთვულ ნარჩენთა საწყობების არსებობა, ჰაერის უკიდურესი დაბინძურება, რაზეც არანაირი კონტროლი არ



ხორციელდება. მეტიც: შესაბამისი უწყება (ამ შემთხვევაში გარემოს დაცვის სამინისტრო) ამის თაობაზე მეტ-ნაკლებად სანდო ინფორმაციასაც კი არ ფლობს (?!). არის კიდევ, ჩვენი აზრით, უაღრესად მავნე, სახიფათო და ნამდვილად სამარცხვინო გარემოება: **მტკვარში დღემდე ჩაედინება საკანალიზაციო წყლები, არადა წლის თბილ დროს მდინარეზე უამრავი თბილისელი თევზაობს...**

ისე კი, უნდა ითქვას, რომ სააგენტო „მერკერი“ ცხოვრების დონეს, კერძოდ, **პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოთა მდგომარეობით, სამედიცინო და ჯანდაცვითი, ასევე საცხოვრებელი პირობებით, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების ხარისხით, ეკოლოგიური სისუფთავით, საჯარო მომსახურების სისწრაფითა და საზოგადოებრივი გადაზიდვების დონითა და სხვათა მიხედვით აფასებს.**

სამწუხარო ფაქტია ისიც, რომ თბილისი „ბოლოში მიჩანჩალებს“ არა მარტო „მერკერის“ ექსპერტთა შეფასებით: იმავე ცხოვრების დონით კომპანია „ეკა-ინტერნეიშნელის“ სპეციალისტებმა, რომლებმაც ამ მხრივ მსოფლიოს თითქმის ორჯერ მეტი, 400 დიდი ქალაქი შეისწავლეს, **ჩვენი დედაქალაქი მეორე ასეულის ბოლოში, 199-ე ადგილზე განათავსეს.** ამ მხრივ პირველობა კი შვეიცარიის ბერნს, დანიის კოპენჰაგენს და ავსტრიის ზალცბურგს მიანიჭეს. ამ შემთხვევაში ექსპერტები ქალაქებს ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების, ჯანდაცვის, განათლების დონითა და ეკოლოგიის მდგომარეობის მიხედვით აფასებდნენ.

**ოთარ ტურაბელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# შენ გვირგვინით წამოხვედი...

## სოსო ქოიავა საკუთარ თავს სხვისი თვალითაც უყურებს


სოსო ქოიავა

რამდენი დრო გასულა! თითქოს გუშინ იყო. მესამე კურსის სტუდენტებმა პირველი „დაკვეთა“ რომ მივიღეთ, ხიდის მაკეტი უნდა შეგვესრულებინა, რომელიღაც გამოფენისთვის. სამუშაო იმდენად „დაბალბიუჯეტიანი“ იყო, რომ პროფესიონალმა „მაკეტჩიკებმა“ უარი თქვეს მის შესრულებაზე. არც გამოცდილება გვქონდა და არც ოსტატობა. მახსოვს რა დაძაბული ვიყავით, როდესაც ნამუშევარი „დამკვეთს“ წარვუდგინეთ. ნამუშევარი მიიღეს! შემდეგ ორივემ ერთდროულად დავამთავრეთ, შენ — სამხატვრო აკადემია, მე — პოლიტექნიკურის არქიტექტურის ფაკულტეტი, ერთად გავხდით საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატები — შენ ჭედური ხელოვნების ნამუშევრების სერიისათვის, მე კი „კავკასიის დამცველთა მემორიალისათვის“ ალიკო ჩიქოვანთან და გულდა კალაძესთან ერთად. იმ დროს ეს პრემია პრესტიჟული იყო. ჩემმა სადიპლომო ნამუშევარმა, მოსკოვში არქიტექტურის საერთაშორისო კონგრესის ეგიდით ჩატარებულ დიპლომების კონკურსში ლაურეატის დიპლომი დაიმსახურა. შენმა სადიპლომო ქანდაკებამ — პაგანინი, დიდი „ხმაური“ გამოიწვია. ნამდვილი ჯადოქარი გამოძერწე, საოცრად ექსპრესიული, ჩამოშლილი თმებით, უჩვეულოდ გრძელი თითებით, მხოლოდ ვიოლინო მიანიშნებდა, რომ ის ზღაპრის ჯადოქარი კი არა, ადამიანი ჯადოქარია, მუსიკის ჯადოქარი. ბატონი სერგო ქობულაძის დიდი ავტორიტეტი რომ არა, თემის შეცვლა და ახალი დიპლომის გაკეთება მოგიწევდა. შემდგომ, ფხიზელი სოცრეალისტებიც დაცხრნენ და აკადემიამ ნამუშევარი მოსკოვში გაგზავნა სადიპლომო ნამუშევრების საკავშირო გამოფენაზე. ეს უკვე აღიარება იყო. სამწუხაროდ, თაბაშირის ქანდაკება ნამსხრევებად დაბრუნდა. არადა, გადაწყვეტილი იყო მისი ბრინჯაოში ჩამოსხმა და კონსერვატორიის ფოიეში დადგმა. ბედად რამდენიმე ფოტო შემორჩა.

ამბობენ, ხელოვნება შემოქმედის ადეკვატურიაო. ეს მართალიცაა და არცაა მართალი. ზოგჯერ ნამუშევარი ისეთი ჩახლართულ-ჩარებუსებულია, ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს. არადა, მისი შემოქმედი ჩვეულებრივი მიწიერი, ამქვეყნიური, წეს-ჩვეულებების ერთგული კაცია. შენი ხელოვნება და პიროვნება საოცრად მთლიანია. ძალიან გვანან ერთმანეთს, ისეთივე მართალი, გამჭვირვალე, ნათელი და ინტელიგენტურია, როგორიც შენა ხარ. შენი შემოქმედება მკაფიოდ ერთნიშნად ადასტურებს, რომ თანამედროვეობა და ეროვნულობა არა თუ ვერ „იტანენ“ ერთმანეთს, არამედ ავლენენ კიდეც. ეროვნულობა არ არის თვითმიზანი. შედეგია, შედეგი ყველაფრისა, ბავშვობის და ყმაწვილობის დღეების, მშობლობის, ნათესაობის, გარემოსი, ლახტის წრეში კანჭების გაწითლების, ლეგენდების, ზღაპრების, ჩელას, ოდოიას, ანუ ფესვების. შენი შემოქმედება აღსავსეა არა მხოლოდ ნიჭიერებით, არამედ პატიოსნებითაც. გაუგებარია „პატიოსნება“? კარგად დააკვირდით სოსოს ნამუშევრებს და უსათუოდ მიხვდებით, რატომ არიან ისინი „პატიოსნები“. მის კომპოზიციებს, მსგავსად რენესანსის გენიოსებისა, ძვრას ვერ უზამ, ვერაფერს დაამატებ, ვერაფერს დააკლებ.

შენ ხელოვნებას ცნობადობის მაღალი ხარისხი აქვს — განწყობილებით, პლასტიკით, მხატვრული ლოგიკით. შენ არ გიყვარს ტრიუკები.


სადიპლომო ნამუშევარი „პაგანინი“

შენ ღმერთმა ერთი უნიკალური ნიჭი გიბოძა — შეხედო საკუთარ თავს სხვისი თვალითაც. მუდამ მოწესრიგებული და პეწიანი ხარ.

შენ აკადემიის წინამძღოლის გვირგვინი პროფესიულმა საზოგადოებამ, კოლეგებმა დაგადგეს. იყავი პირველი არჩეული რექტორი, გაიმარჯვე სოლიდურ კანდიდატებთან „ბრძოლაში“, სოლიდური უპირატესობით. შენ აკადემიაში გარკვეული გამოცდილებით მიხვედი, 10 წელი ხელმძღვანელობდი მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელს. გვირგვინზე ბევრი ვერ ამბობს უარს, მაგრამ უმეტესობამ არ იცის, რომ გვირგვინი უმკაცრესი გამოცდაა. გვირგვინი ამჟღავნებს თავის ზომას, ის შეიძლება იოლად ჩამოცურდეს კოჭამდე, თუ იმ თავს არ ეკუთვნის, რომელსაც დაადგეს. შენ, ჩემო სოსო, სამხატვრო აკადემიის რექტორის გვირგვინი 11 წელი ღირსეულად ატარე და როდესაც წამოსვლის დრო დადგა, გვირგვინიანად წამოხვედი.

შენ დრომ ვერ შეგცვალა, დარჩი ისეთივე უშუალო და კომუნიკაბელური, დიდთან — დიდი, პატარასთან — პატარა.

შენ მუდამ თან გდევდა პასუხისმგებლობა წინაპრების მიმართ, იმათ მიმართ, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ქართული ხელოვნების ამ დიდ კერას. ესენი იყვნენ გიორგი ჩუბინაშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი.

შენი რექტორობის წლები (1992-2003წ.წ.) იყო უმძიმესი პერიოდი საქართველოსთვის. პოლიტიკური ქაოსი, ეკონომიკური მოშლილობა, შეიარაღებული კონფლიქტები. აკადემიის მაღლივი შენობის ზედა სართული და სახურავი დაკავებული ჰქონდა გაურკვეველი დაჯგუფების „პატრიოტებს“. მილიცია ვერ მილიციობდა, ხელისუფლება ვერ ხელისუფლობდა. მაღალი კორპუსის სახურავიდან, დრო და დრო ისმოდა სროლის ხმა. შენ, შენ თანამოაზროვნებთან ერთად იცავდი აკადემიის ისტორიულ შენობას, მის უნიკალურ ფონდს, ფეხს არ იცვლიდით შენობიდან, იქვე ათევდით ღამეებს.

შენ ირაკლი ოჩიაურთან, კობა გურულთან, გურამ გაბაშვილთან ერთად დიდი წვლილი შეიტანე ქართული ჭედური ხელოვნების — ლითონქანდაკების ხელოვნების აღორძინებაში. ბრწყინვალეა შენი „თამარ მეფე“, „გოგონა ბროწეულით“, „ლომები“, „ჩელა“, მეუღლის პორტრეტი — „ნანა“, „ბალეტის მოცეკვავე“, „ხევსური გოგონა“, გერმანელი მხატვრის უტე ლენერტის პორტრეტი, კომპოზიცია „ჩაის პლანტაცია“, რომელიც ამჟამად ტრეტიაკოვის გალერეის კუთვნილებაა და სხვა მრავალი.

1979 წელს, როდესაც ქუთაისის მემორიალის პირველი ვერნისაჟისთვის, მე და შოთა ბოსტანაშვილი მოქანდაკეებს ვარჩევდით, ერთ-ერთი უკონკურსო კანდიდატი შენ იყავი. არ შევმცდარვართ.

შენ შექმენი ბრწყინვალე კომპოზიცია — „აღორძინება“. „ქუთაისის ცენტრში ამ მემორიალმა არაჩვეულებრივი, მძლავრი, მაჟორული, პოეტური ნოტა შეიტანა ქალაქის რიტმში. სოსო ქოიავას „აღორძინება“ საინტერესოა სილუეტით, სივრცობრივობით, მკვრივი ფორმებით, მკაფიო მხატვრულობით, ის მშვენივრად პასუხობს მემორიალის საერთო ატმოსფეროს და ეს ერთიანობა ახდენს წარუშლელ შთაბეჭდილებას“, — წერდა გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე იგორ სვეტლოვი.

შენი თერთმეტწლიანი რექტორობის გარკვეული მონაკვეთი დაემთხვა ჩემს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეობის პერიოდს. ეს იყო სამხატვრო აკადემიის და არქიტექტორთა კავშირის — მხატვრების, მოქანდაკეების, დიზაინერების და არქიტექტორების, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული სკოლების, სტუდენტებისა და პედაგოგ-მასწავლებლების თანამშრომლობის ნათელი პერიოდი — ერთობლივი ჟიური, კონკურსები, საბჭოები, გამოფენები. ამ წლებში, ყველა „არქიტექტურის დღეს“ აკადემია მასპინძლობდა, პირადად მისი რექტორი სოსო ქოიავა. მახსოვს აღტაცებული სიტყვები საფრანგეთის ელჩის, ქალბატონ მირეი მიუსოსი, როდესაც არქიტექტორთა კავშირმა და სამხატვრო აკადემიამ ერთობლივად ვუმასპინძლეთ გამოჩენილი ფრანგი არქიტექტორის, პრიცკერის პრემიის ლაურეატის ქრისტიან დე პორტზამპარკის პერსონალურ გამოფენას. ყველა ჩვენი მცდელობა შემეცნებით და კულტურულ ფაქტთან ერთად იყო სასწავლო პროცესი, რეალური სკოლა, მომავალი მხატვრების და არქიტექტორებისათვის.


ქანდაკება „აღორძინება“ (ქუთაისში)

ერთმა გაუგებრობამ დიდად გვატკინა გული ორივეს, რაც მთავარია, ამ „გაუგებრობამ“ დააზარალა ქვეყანაც და დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის სახელიც. არაფერში ბედი არ ჰქონია ამ გენიოსს. შენ მისდამი განსაკუთრებულ სიყვარულს შენი ნამუშევრებით ავლენდი, შექმენი ბრწყინვალე პორტრეტი, შემდგომ ბარელიეფი და როდესაც დადგა საკითხი 1990 წელს მისი 110 წლისთავისადმი თბილისში დაედგათ ძეგლი, კულტურის სამინისტრომ ეს საქმე შენ მოგანდო. დღე და ღამე გაერთიანებული გქონდა, ქანდაკებით აღტაცებული იყვნენ მწერლის ქალიშვილები ქეთევანი და რუსუდანი, შვილიშვილი რამაზ შიშნიაშვილი, თაბაშირის მოდელის სანახავად მოდიოდნენ მწერლები, მოქანდაკეები. ძეგლის პროექტმა ტრიუმფით გაიარა არქიტექტურული და კულტურის სამინისტროს საბჭოები. მერია განხორციელებას ვერა და ვერ ახერხებდა — „უსახსრობის გამო“. თბილისს ახალი მერი დაუნიშნეს — ზურაბ ჭიაბერაშვილი. მან პირველსავე კვირაში ისურვა ძეგლის ნახვა, მობრძანდა სახელოსნოში, აღტაცებას ვერ მალავდა. იქიდანვე დაუკავშირდა მერიის კულტურის განყოფილებას, სთხოვა, ყველა დაგეგმილი ღონისძიებებისთვის „ჩამოეჭრათ“ თანხები, რამდენიც საჭირო იქნება ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმისთვის და პიედესტალისთვის. საქმე დაიძრა! 10 დღის შემდეგ მერიის კულტურის განყოფილებაში შევიდა მიხეილ ჯავახიშვილის „ოჯახის წევრთა“ განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ ძეგლზე კონკურსის გამოცხადებას, „რადგანაც ის თავის დროზე კონკურსის გარეშე შეიქმნა“. ეს მით უფრო დასანანია, რომ მათ ძეგლი საერთოდ არ უნახავთ! პროცესი შეჩერდა. ეს იყო 2005 წელს. მას შემდეგ გალაკტიონის ხიდის მიმდებარე სკვერი, საიდანაც იწყება მიხეილ ჯავახიშვილის აღმართი და დიდი მწერლის თაბაშირის მოდელი შორიდან უცქერიან ერთმანეთს. უკვე ჩაიარა მწერლის დაბადებიდან 130 წლის იუბილემაც! მაპატიე, ამ არასასიამოვნო მოგონებისთვის.

...ჩემო სოსო, 80 წელი შეგისრულდა... გისურვებ მხნეობას, ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

**შენი**
**ვახტანგ დავითაია.**


მიხეილ ჯავახიშვილის პორტრეტი (გრაფიკა)


მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი თბილისში



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული ბრძოლა ხელისუფლებისთვის: სახელგანთქმული პრეზიდენტი პრემიერ-მილიარდერის წინააღმდეგ

**იყო დრო, როდესაც პრეზიდენტის სასახლე თბილისის თავზე წამომართულ გორაკზე მთლიანად კაშკაშებდა, მის დარბაზებში კი მიმდინარეობდა მჩქეფარე მოღვაწეობა, როდესაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამუშავებდა თავისი პროდასავლური რეფორმების გეგმებს.**

მაგრამ გასული წლის არჩევნებმა, რომლებმაც ცამდე აიყვანა სააკაშვილის მეტოქე, პრორუსულად განწყობილი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე, გადაკეტეს ამ შუქისკენ მიმავალი გზა.

თავის უფლებებში შესვლის მომენტიდან შარშან ნოემბერში საქართველოს მთავრობა ღიად მტრობს პრეზიდენტს, დაიწყო ასზე მეტი სისხლის სამართლის გამოკვლევა სააკაშვილის მომხრეების წინააღმდეგ თაღლითობასა და კორუფციაში ბრალდებით.

ამავე დროს მთავრობამ გაათავისუფლა თითქმის 200 კაცი, რომლებიც განსაზღვრა, როგორც პოლიტიკური პატიმრები და აპირებს გაათავისუფლოს კიდევ 6 ათასი კაცი.

პატიმართა უმრავლესობა დაპატიმრებული იყო მცირე დანაშაულებებისთვის, და მიმდინარე ამნისტიას მიესალმებიან საერთაშორისო სამართალდაცვის ორგანიზაციები. არ არის გასაკვირი, რომ სააკაშვილი უარყოფს მთავრობის განცხადებებს, ამტკიცებს, რომ ეს პატიმრები იყვნენ ჯაშუშები, რომლებიც „დაკავშირებული იყვნენ რუს ელემენტებთან“.

წინააღმდეგობა ახალ პრემიერსა და მიმავალ პრეზიდენტს შორის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბრძოლა რესპუბლიკის სულიერებისთვის: გააგრძელებს საქართველო დასავლეთთან თანასწორობისთვის ზრუნვას თუ დაუახლოვდება მოსკოვს? თანამდებობაზე 100 დღის ყოფნის შემდეგ ივანიშვილმა რეპორტიორებს განუცხადა, რომ იგი აუმჯობესებს ურთიერთობას რუსეთთან, თუმცა, გვაფრთხილებს კიდეც, რომ ამას გარკვეული დრო სჭირდებაო.

Newsweek

---

# ვალერია ნოვოდვორსკაიასთვის საქართველოს პარლამენტი გველების ბუდეა

**„თქვენი პარლამენტი გველების ბუდეა, სადაც საქართველოს მტრები სხედან, დაითხოვეთ იგი“,** — ასეთნაირად დაუბარა ქართველ ხალხს ვალერია ნოვოდვორსკაიამ. რატომღაც რუს ჟურნალისტსა და დისიდენტს ასეთი რჩევების მოცემა მაშინ არ გახსენებია, როცა გასული ხელისუფლების პირობებში სხვადასხვა მოწვევის პარლამენტი მართლაც დასათხოვი იყო. დღეს კი ექსცენტრული ქალბატონი კიდევ ერთ უცნაურ განცხადებას აკეთებს:

**„ბატონო ქართველებო, რამდენადაც მომაკვდავმა ზვიად გამსახურდიამ თქვენი თავი მე ჩამაბარა და თქვენზე ზრუნვა დამავალა, როგორც ძველ დისიდენტსა და რუსეთის მიერ თავისი უბედური, ყოფილი კოლონიებისთვის დაგებული ხაფანგების კარგ მცოდნეს, უბრალოდ, გაფრთხილებთ, რომ ძალიან ცუდი დრო დაგიდგებათ, თუ დაუშვებთ „ქართული ოცნების“, უფრო სწორად, რუსეთის იმპერიის ოცნებების ასრულებასა და უკანონობას“.**

ვალერია ნოვოდვორსკაიას თავგანწირული სიყვარული სააკაშვილის მიმართ არახალია. ალბათ, ეს ის იშვიათი ადამიანია, ვინც მომავალშიც ბოლომდე უერთგულებს თავის ფავორიტ სააკაშვილს. მიუხედავად იმისა, რომ ნოვოდვორსკაიას აზრები ქართველი ხალხისთვის უფრო გამაღიზიანებელია, ვიდრე გასათვალისწინებელი. პერიოდულად ის არ ივიწყებს სააკაშვილს და მხსნელად ევლინება. ასე მოხდა 8 თებერვლის დაპირისპირების შემდეგაც. ნოვოდვორსკაიას უკვირს, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ რატომ არ გამოვიდა ქართველი ხალხი საკუთარი სურვილით თავისი პატარა ქვეყნის მთავარ მოედანზე?! რატომ არ თქვეს ქართველებმა, რომ აღარ სურთ, ჰქონდეთ ასეთი პარლამენტი? იმიტომ, რომ „თუ პარლამენტი უკანონობას აღვივებს, ეს პარლამენტი არ არის, ეს ქურდული ქოხმახია“.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი იქცევა არა როგორც პრემიერ-მინისტრი, არამედ როგორც კანონიერი ქურდი, რომლის უკანაც რუსეთი დგას. მისი მიზანია უკანონობის და ქაოსის დამკვიდრება საქართველოში.

For.ge დაინტერესდა, რით აიხსნება ნოვოდვორსკაიას ერთგულება სააკაშვილის მიმართ?!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი ნოვოდვორსკაიას აზროვნებას ასეთნაირად აფასებს: ვინც სააკაშვილის მტერია, ის პუტინის მეგობარია, ხოლო, ვინც პუტინის მეგობარია, ის ნოვოდვორსკაიას მტერია.

**„სწორედ ასეთ პრიმიტიულ აზროვნებასთან გვაქვს საქმე. ნოვოდვორსკაიას სერიოზულად არავინ აღიქვამდა არც საბჭოთა კავშირში. მისი დისიდენტობის ამბავიც ძალიან გაბერილია. ის ერთადერთი დისიდენტია, რომელიც არ მჯდარა ციხეში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დროს რაღაც დამსახურება ჰქონდა, მისი შემდგომი განცხადებები საქართველოსთან დაკავშირებით, ყოველთვის უსაგნო, ჩაუხედავი იყო. ვინ ჰკითხავს ნოვოდვორსკაიას ქართველი ხალხის არჩევანს ან რა იცის მან ამის შესახებ?!“** — კითხულობს ლევან ბერძენიშვილი.



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ **ნოვოდვორსკაია მუდამ გამოირჩეოდა ექსტრავაგანტიზმით, მას თავიდანვე არანაირი სხვა რესურსი არ გააჩნდა, გარდა მოშხამული ენისა. მეტიც, იგი დემოგოგიის დიდოსტატია.**

პოლიტოლოგს ახსენდება, რომ **თავის დროზე ნოვოდვორსკაია აღფრთოვანებული იყო ზვიად გამსახურდიათი, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ მასზე ბრწყინვალე ესსეც დაწერა — Made in USSR (შესრულებულია საბჭოთა კავშირში), ანუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა. ამით ნოვოდვორსკაიამ გამოხატა აზრი, რომ ეს არის რუსეთის ხელწერა, შტამპი და ეს გაკეთებულია საბჭოთა კავშირში.**

**„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნოვოდვორსკაია კარგი წყვილი იქნებოდა ჟირინოვსკისთან ერთად. ნოვოდვორსკაიას არ მოსწონს ახალი ხელისუფლება, შეიძლება, თავის დროზე ივანიშვილი არ მოსწონდათ რუსეთში. ყველას ჰყავს მტრები, თუმცა, არა მგონია, ნოვოდვორსკაიას ივანიშვილთან შეხება ჰქონოდა, მაგრამ მისდამი სიძულვილი, როგორც ჩანს, არის მადრიდის სამეფო კარის საიდუმლოება“** — მიიჩნევს სოსო ცინცაძე.

**რაც შეეხება იმას, თითქოს მომაკვდავმა ზვიად გამსახურდიამ ნოვოდვორსკაიას ქართველებზე ზრუნვა დაავალა, სოსო ცინცაძის აზრით, ეს ხატოვანი გამოთქმაა, თორემ ზვიად გამსახურდიას ანდერძი არ დაუტოვებია, გინდათ თუ არა, ნოვოდვორსკაია რასაც გეტყვით, ის გააკეთეთო. პოლიტოლოგის შეფასებით, ლატინინას ტონალობა კიდევ გასაგებია, რომელიც წერს, რომ საქართველოში უკუნეთი სიბნელეა. ეს იმით აიხსნება, რომ ლატინინა ხშირად ჩამოდიოდა აქ და, შესაძლოა, გარკვეულ წრეებთან კავშირებიც ჰქონდა. ნოვოდვორსკაია კი ბოლო ხანს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამო ვერ მოგზაურობს, ამას წინათ დაწერა კიდეც, თვითმფრინავი ამიკრძალეს ექიმებმაო და ამდენად, სოსო ცინცაძის თქმით, ის მაქსიმ გორკი არ არის, ფეხით ჩამოვიდეს რუსეთიდან.**

პოლიტოლოგს ახსენდება, რომ **ზვიად გამსახურდია მართლაც მეგობრობდა ნოვოდვორსკაიასთან და მიწერ-მოწერაც ჰქონდათ ერთმანეთთან.**

**„სახაროვის გარდა, ზვიადს რუს დისიდენტებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. სახაროვთან ვერააწყო ურთიერთობა. ზვიადს და საქართველოს სახაროვთან ელენე ბონერმა გაუფუჭა საქმე. ბონერი ერთ-ერთი ქმრის გვარი იყო, თორემ, სახაროვის გარდა, ხუთი ქმარი მაინც ჰყავდა იმ შეუხედავ ქალს. თვითონ თბილისელი სომხის — ალიხანოვის შვილი იყო. ამიტომ ყოველთვის მოიძებნება ორი-სამი ადამიანი, რომელიც უშვერი სიტყვებით ლანძღავს შვეიცარიას, საფრანგეთს, შვედეთს, ნორვეგიას, დანიას. არადა, ეს ქვეყნები ადამიანის დაცვის მხრივ პირველ ადგილზე არიან“.**

ადამიანისადმი ასეთ სიძულვილს სოსო ცინცაძე პირად პრობლემებს ან ფობიებს უკავშირებს. მისი თქმით, **რუსეთში არის ცნობილი ჟურნალისტი ვიტალი ტრეტიაკოვი, კრემლის იდეოლოგი, რომელიც ორგანულად ვერ იტანს ქართველებს. იგი „ნეზავისიმაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი იყო და 2008 წლის ომის შემდეგ დაწერა, ქართველები რომელი მეომრები არიან, პლაჟებზე ქერა რუსი ქალების სიყვარულის მეტი რა შეუძლიათო. ამის გამო სოსო ცინცაძე რუს მეგობრებს დაუკავშირდა და გაირკვა, რომ ტრეტიაკოვის ქალიშვილი ქართველს უთხოვია ცოლად, შემდეგ სკანდალით გასცილებია და იმის მერე შესძულებია ქართველები.**

ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში ვახტანგ ძაბირაძე აცხადებს, რომ **ნოვოდვორსკაია მთელი ოცი წლის განმავლობაში პერიოდულად გამოდის ხოლმე ასპარეზზე და გვარიგებს ჭკუას მოსკოვიდან, თუ რა უნდა გავაკეთოთ. სამწუხაროდ, იგი ძირითადად ტენდენციურია, მაინცდამაინც ღრმად ვერ ერკვევა და არც ცდილობს ღრმად გაერკვეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.**

**„ის, რომ საქართველოში მისი რჩევები არ აინტერესებთ, მთლად ასეც არ არის. ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას, ალბათ, აინტერესებს მისი შეფასებები. ნოვოდვორსკაია ძალიან დიდი დამცველი იყო სააკაშვილის და მისი რეჟიმის და ბუნებრივია, მისტირის მის რეჟიმს. მისი გამოსვლა ყოფილ ხელისუფლებას ხელს აძლევს და მას მოიშველიებენ, როგორც უფლებადამცველს. თუმცა, რით აიხსნება მისი ასეთი ერთგულება სააკაშვილის მიმართ, ვერ გეტყვით. საკმაოდ ექსცენტრული პიროვნებაა და დისიდენტურ წრეებშიც არ ეკიდებიან სერიოზულობით. ამიტომ ასეთი ადამიანი ცდილობს, ქულები მოაგროვოს საზღვრებს გარეთ. ამით უნდა აიხსნას მისი აქტიურობა. შესაძლოა, ასრულებს კიდეც გარკვეულ დავალებებს“,** — მიიჩნევს ვახტანგ ძაბირაძე.

**მარიამ ლოლაშვილი**

---

## დედამიწის ზურგზე



**ობამას გზავნილი კონგრესისადმი დაგვამახსოვრდა ექსპრესიული „საიარაღო“ გამოხდომით**

ყოველწლიურ გზავნილში ქვეყანაში მდგომარეობის შესახებ უმალვე კრიზისიდან გამოსვლის თავისი გეგმის წარდგენიდან, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჩამოთვალა ნიუტაუნის სკოლაში ხოცვაჟლეტისა და იარაღის თავისუფალი ბრუნვის შედეგად სხვა უდანაშაულო მსხვერპლთა სახელები, განაცხადა, რომ კონგრესმენებს შეუძლიათ მისცენ ხმა ან წავიდნენ წინააღმდეგ — ეს მათი არჩევანია. პრეზიდენტი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობასაც, თუმცა, რუსეთი არ უხსენებია.

* * *

**ბირთვულმა აფეთქებამ აღაფრთოვანა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ზიანი მიაყენა რუსეთს, დატოვა იგი არგუმენტების გარეშე აშშ-სთან დავაში**



ცნობას ქვეყნის ისტორიაში მესამე წარმატებული ბირთვული აფეთქების შესახებ აღფრთოვანებით შეხვდნენ ფხენიანის მცხოვრებლები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი სამშობლოსა და ლიდერის გამო, მზად არიან დაიცვან თავიანთი უფლებები მეცნიერებაში ამერიკელების წინაშე. ამისთვის უშიშროების საბჭო ემუქრება კორეის სახალხო- დემოკრატიულ რესპუბლიკას სანქციებით, მაგრამ პრობლემები ამ სიტუაციაში გაუჩნდება არა მხოლოდ ჩრდილოეთ კორეას.

* * *

**„დი ვოშინგტონ პოსტმა“ თავი შეირცხვინა, როდესაც ახალი ამბავი სარა პეილინზე აიღო იმ ინფორმაციის ავტორებისგან, რომელშიც საუბარი იყო, თუ როგორ მოკლა პუტინმა დათვი შიშველი ხელებით**



ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უძველეს გაზეთს მოუწია თავის მართლება იმ თანამშრომლისთვის, რომელმაც გადმოიწერა სტატია სატირიკული გამოცემიდან: თითქოს პეილინი, რომელიც აცხადებს პრეტენზიას ვიცეპრეზიდენტის პოსტზე, იმუშავებს „ალ ჯაზირაზე“, რათა „მოაწესრიგოს კონტაქტები რელიგიურ ადამიანთა მილიონებთან“. თავად პეილინმა დასცინა გაზეთს, შესთავაზა მას დაწეროს, რომ „იგი ამ კვირაში იხილავს ელვისს“.

* * *

**თვითმხილველები: მექსიკის ყურეში გაჩხერილ ლაინერზე ხალხი გაველურდა და ჩხუბობენ საჭმლის გულისთვის**



ავარიული საკრუიზო ხომალდი „კარნივალ ტრიუმფი“ კვირიდან მწუხარების ციხედ გადაიქცა 4 ათასზე მეტი ადამიანისთვის. მათ ბუქსირით გადაიყვანენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ ხუთშაბათს, ჯერჯერობით კი ისინი იმყოფებიან საშინელ პირობებში, რაც ყოველ წუთში სულ უარესდება და უარესდება. რუსმა ექსპერტმა საზღვაო თემატიკაში გადარჩენის ოპერაციას უწოდა: „ბარდაკი“.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**⊙ პოზიცია**

# დუელი

**დუელი** ფრანგული სიტყვაა, ლათინურიდან მოდის და „შერკინებას“, „ორთაბრძოლას“ ნიშნავს. ის ორ ადამიანს შორის დუელის კოდექსით მკაცრად რეგლამენტირებული შერკინებაა, რომლის მიზანია ერთ-ერთი დუელიანტის მოთხოვნის დაკმაყოფილება მეორის მიერ მისი ღირსების შეურაცხყოფის გამო. ამჟამად სახელმწიფოების დიდ უმრავლესობაში დუელი აკრძალულია ძალადობაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამო. ამიტომაც, დუელი მხოლოდ მხატვრულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ შემოგვინახა.

ის, რაც ეროვნული ბიბლიოთეკის წინ მოხდა, სწორედ დუელის ნიშნებს ატარებს, რადგან უსამართლოდ დამცირებული, გამწარებული ხალხის წინ „ნაცებმა“ ჩაიარა, რომელთა შორის მათ თავიანთი დამცირებისა და უბედურების „შემოქმედნი“ იხილეს და როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ძალადობაზე მონოპოლიის განხორციელება სუსტდება, დუელის გრძნობა იფეთქებს.



წარმოიდგინეთ, როდესაც თქვენი შვილის ჯალათს შეხვდებით, ან მას, რომელმაც სრულიად უსამართლოს პატივი აგხადათ, გაღვივდება თუ არა თქვენში დუელიანტის უაღრესად მძაფრი ემოციები? ეს ხომ ჯალათმაც იცის და ამდენად, მზად უნდა იყოს, რომ თუ სახელმწიფომ მას სათანადო პასუხი არ აგებინა, ის შეიძლება დუელის მსხვერპლი გახდეს. ეს კი ის შიშია, რომელიც ჯალათს მთელი ცხოვრება თან სდევს და სწორედ ესაა მისი მთავარი უბედურება.

ნამდვილად არაა სასიამოვნო, როდესაც ტელეეკრანზე ქალბატონის გასისხლიანებულ ცხვირს ხედავთ, მაგრამ მე გამაოცა, თუ როგორ აქტიურობდა ეს ქალბატონი ობიექტივის წინ, რათა ყველას ეხილა მისი გასისხლიანებული სახე. სისხლის მოწმენდის სურვილი მას რატომ არ გაუჩნდა? ან მისი თანხმლები მამაკაცები რას აკეთებდნენ? ვერ მოწმინდეს ცხვირზე სისხლი, თუ მათაც სისხლიანი ცხვირის საქვეყნოდ „აფიშირება“ აწყობდათ?

აფიშირება პოლიტიკური მოტივით... ესეც კიდევ უფრო დიდი სირცხვილი.

თუმცა, ქალს დუელში არასოდეს იწვევდნენ და მის ნაცვლად დუელში ახლობელი ვაჟი გადიოდა.

არავის მოვუწოდებ დუელიანტობას. სჯობს დამნაშავენი ღვთის რისხვას ელოდონ, თუ მართლმსაჯულებამ ვერ ივარგა.

მახსენდება, ჩემი გარდაცვლილი მეგობრის მარტოხელა და მოვინახულე, ინგლისური ენის ბრწყინვალე მასწავლებელი. მასთან ერთი მალალჩინოსნის ბავშვი უნდა მოსულიყო გაკვეთილზე და მეც წასვლა დავაპირე. ამ დროს შემოდის ულამაზესი ათიოდე წლის გოგონა. გაფითრდა, როგორც კი შემომხედა, რადგან მისთვის უცხო ვიყავი. სწრაფად დავემშვიდობე მასპინძელს და გამოვედი ეზოში, სადაც ორმა შეიარაღებულმა მცველმა დაჟინებით დამათვალიერა. იქვე, ქუჩაში დიდი შავი მანქანა იდგა ორი ავტომატიანი „მცველით“...

ცრემლებამდე შემეცოდა ის პატარა, ულამაზესი, სათნო გოგონა, რომელიც იძულებული იყო თავის მასწავლებელთან ოთხი შეიარაღებული მცველით მისულიყო. ვიფიქრე, „რა არის ამ ბავშვის სიცოცხლე, რომელსაც ბავშვობა წაართვეს და გალიაში, თუნდაც „ოქროს გალიაში“ მოათავსეს, რათა მამამისის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო მას ხიფათი არ შექმნოდა“?

წარმოუდგენლად ძნელია ასეთი ცხოვრება და ის ბავშვის ფსიქიკაზეც უდავოდ იმოქმედებს!

მაშ, რატომ არ ფიქრობენ ჯალათები თავიანთ შვილებზე? მშობლების ცოდვა შვილთაშვილებზეც ხომ გადადის?

მართალია, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, მაგრამ არა მტერთან ერთად. ჯალათისა და მსხვერპლის „კოჰაბიტაცია“ შეუძლებელია. ხალხი ომში თავს შვილების მომავლისთვის სწირავდა, ჯალათები კი შვილების მომავალს სწირავენ.

ასე იყო იმ საზიზღარ 1930-იან წლებში. ჯალათები ბოლოს მაინც ისჯებოდნენ!

ერთი ჩემი მეგობრის, ყოფილი პროკურორის მოგონება მახსენდება. მისი პროკურორობის პერიოდში ერთ სოფელში ქორწილი იყო. გამთენიისას სტუმრები დაიშალნენ, ეზოში გამოვიდნენ და ერთმა მთვრალმა სტუმარმა მასპინძლის ჭა შარდით წაბილწა. მასპინძელმა ვერ მოითმინა, იქვე ბოთლი გატეხა, სახეში ესროლა სტუმარს და ორივე თვალით დააბრმავა.

ეს მართლაც მძიმე დანაშაული იყო, მაგრამ მთელი სოფელი დადგა მასპინძლის მხარეს, რადგან ჭის წაბილწვა ოჯახის უდიდესი მორალური, ღირსების შეურაცხყოფა იყო.

ჩემმა მეგობარმა ბევრი იბრძოლა, რათა მასპინძელს ნაკლები სასჯელი მიეღო. შემდეგ მან საერთოდ დატოვა პროკურატურა და ქართული სამართლის ისტორიის ბრწყინვალე პროფესორი გახდა.

„კარგი ჰქენი, ქვას დადევი, გაივლი და წინ დაგხვდება“. ცუდიც წინ დაგვხვდება და ნუ გაგვიკვირდება!!!

ცხადია, შემწყნარებლები უნდა ვიყოთ. შემწყნარებლობა ღვთივ ბოძებული დიდი ნიჭია, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, მით უმეტეს, თუ სახელმწიფო სამართალი მოისუსტებს.

ბოლო ათეულმა წლებმა გაანადგურა ერის განათლება და კულტურა. უცხოელთა ურდოებმა ფულით დაიპყრეს ჩვენი მიწა-წყალი. ამაზრზენმა „ციხის კადრებმა“ უდიდესი ზიზღი დათესა მოსახლეობაში ჯალათების მიმართ. ჩვენი შვილების მომავალი სრულიად ბუნდოვანი გახდა და ვის უნდა მოვთხოვოთ პასუხი, განა არ ვიცით?

მათ კი არც პასუხის გაცემა სურთ და ჯერ კიდევ ბოგინობენ ამ ქვეყანაზე, თუმცა, საშინელებაა მათი ყოფა, რადგან კარგად გრძნობენ ხალხის დიდი უმრავლესობის ზიზღს და მე მართლა გულწრფელად მეცოდებიან ისინი, რადგან საკუთარი ცოდვები კარგად იციან და ყოველთვის დუელის შიშის ქვეშ უნდა იცხოვრონ „ტელოხრანიტელებით“ გარშემორტყმულებმა.

**„დუელიანტი“**

**⊙ ინფორმაცია**

## ვალერი გელბახიანი - ორი საჩხერელი არ უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს

**ვალერი გელბახიანი პოლიტიკიდან წავიდა და საადვოკატო საქმიანობას შეუდგა, — ამის შესახებ გელბახიანმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა.**

**მისი თქმით, მზად არის, იურიდიული მომსახურება გაუწიოს ყველა კლიენტს პროფესიულ დონეზე.**

**— მე გადავწყვიტე, წავიდე აქტიური პოლიტიკიდან. მინდა, გზა დავულოცო ყველა იმ ადამიანს, ვინც ფართო პოლიტიკაში აპირებს მოღვაწეობას. მინდა, ყველა ადამიანს მადლობა გადავუხადო, განსაკუთრებით იმათ, ვინც 2007 წლიდან შეუპოვრად იბრძოდა ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ და თავიანთი წვლილი შეიტანეს არა მარტო მაშინ განვითარებულ მოვლენებში, არამედ ოქტომბრის ცვლილებებში, — აცხადებს ვალერი გელბახიანი. მისივე თქმით, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ „ორი საჩხერელი არ უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს“, — აცხადებს ვალერი გელბახიანი.**

**ინტერპრესი**

**⊙ კომენტარი**



# მომავლისა და წარსულის დაპირისპირება?

## როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი, რომელსაც ევროკავშირში გაწევრება სურს?

**რა შედეგით შეიძლება დასრულდეს ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაგეგმილი შეხვედრები? როგორ წარმოაჩინეს საკუთარი თავი საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ავლაბრის რეზიდენციაში 11 თებერვალს? პოლიტოლოგები ავლაბრის რეზიდენციაში დისკუსიაში გადაზრდილი პრესკონფერენციის შეფასებას იძლევიან.**

პარლამენტის თავმჯდომარესთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრიდან გამოსულმა საქართველოს პრეზიდენტმა ტრიბუნასთან სულ რაღაც 9 წამი მოანდომა იმის თქმას, რომ შეხვედრამ საქმიან გარემოში ჩაიარა, ამის შემდეგ კი 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების შეფასებას შეუდგა. დავით უსუფაშვილს მიხეილ სააკაშვილისთვის იმის შეხსენებაც მოუხდა, რომ 11 თებერვალს პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართული შეხვედრა სხვა საკითხებს, კერძოდ კი, კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს, მათ შორის, პრეზიდენტის უფლებამოსილების საკითხს ეძღვნებოდა.

ჟურნალისტებისათვის გამართული პრესკონფერენცია სულ რამდენიმე წუთში დებატებში გადაიზარდა. პრეზიდენტის ბრალდებებს — საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატებისათვის ე.წ. ხელების გადაგრეხის პოლიტიკის წარმოების გამო — და მის მიერ ისევ და ისევ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების გახსენებას დავით უსუფაშვილის ერთი კითხვა მოჰყვა:

**— ბატონო მიხეილ, ჩვენ აქ ამაზე სასაუბროდ მოვედით?**

**— ბოდიში, ბოდიში...**

უმცირესობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი მხარეებს შორის დაწყებული დიალოგის გაგრძელების აზრს მხოლოდ მას შემდეგ ხედავს, რაც პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცის საპირწონედ უმრავლესობა უმცირესობის მიერ წამოყენებული საკონსტიტუციო კვორუმის მიღებაზე დათანხმდება. ეს ცვლილება კონსტიტუციაში 2013 წლის პირველი ოქტომბრიდან უნდა შევიდეს ძალაში, თუმცა, უმცირესობა მის დაუყოვნებლივ ამოქმედებას მოითხოვს.

**„ეს იმისათვის, რომ ჩვენ უკვე ფაქტობრივი ნაბიჯი გადავდგით თანამშრომლობისა, რომ აღარ დასჭირდეს უმრავლესობას უმცირესობის დეპუტატებისათვის ხელის გადაგრეხა. მე მგონი, ძალიან ლოგიკურია, ხო? ჩვენ ვაძლევთ ხმას, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება მთავრობის დანიშვნის შემთხვევაში შეიკვეცოს, მაგრამ, ამავდროულად, ვითხოვთ პასუხად, რომ უმრავლესობა ვერანაირ გადაწყვეტილებას ჩვენ გარეშე ველარ მიიღებს“,** — ამბობს მიხეილ მაჭავარიანი.

ის, რომ საქართველოს პრეზიდენტიც და პარლამენტის თავმჯდომარეც საქმიანი მოლაპარაკებების გაგრძელებაზე საუბრობენ, პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს პოზიტიურ მოვლენად მიაჩნია, თუმცა, ის შეხვედრიდან გამოსული პრეზიდენტის ერთ შეცდომაზე — კერძოდ, პოლიტიკური თვალსაზრისით წინდაუხედავ ნაბიჯზე — მიუთითებს. მისი აზრით, გარდა იმისა, რომ 11 თებერვალს პრეზიდენტის რეზიდენციაში დებატების ადგილი არ იყო, ამ დებატებისთვის მიხეილ სააკაშვილი მზად არ აღმოჩნდა.

**„იმიტომ რომ, უსუფაშვილის საკმაოდ მკვეთრ, თუმცა, მშვიდ პოზიციას, პრეზიდენტმა ვერაფერი დაუპირისპირა და მოუწია მთავარ თემასთან დაბრუნება. ის, რომ სხვა კალაპოტში გადაიყვანო თემა, რათა იქ უფრო მომგებიან პოზიციაში ჩადგე, ეს სვლა დებატების ტექნოლოგიებში არსებობს, თუმცა, თუ ეს სვლა არ გამოგივიდა, მაშინ, პირიქით, წამგებიან პოზიციაში დგები. და ეს მიუთითებს გაქცევის ერთგვარ სტრატეგიაზე“,** — ამბობს რამაზ საყვარელიძე.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ამბობს, რომ შეხვედრიდან გამოსულმა მიხეილ სააკაშვილმა კონფრონტაციული პოზიცია დაიკავა და ჩვეული სტილით და ლექსიკით გადაწყვიტა შეტევაზე გადასვლა, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტი მტკიცე ოპონენტის მშვიდ განცხადებებს სათანადოდ ვერ გაუმკლავდა: **„უსუფაშვილი ასე მტკიცედ იმიტომ გამოიყურებოდა, რომ მის მხარეს არის სიმართლე. ის ამბობდა სიმართლეს. და ის არ თამაშობდა. და ეს აისახება ხოლმე იმაზეც, თუ როგორ ამბობ, რა ტონალობით ამბობ შენს სათქმელს, ხოლო როცა იცი, რომ ვერ დგახარ მყარად, მაშინ ეს უკვე შენს საუბარშიც იგრძნობა?**.

მომავლისა და წარსულის დაპირისპირება — ასეთ შეფასებას აძლევს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლას საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დეკანი ბაკურ კვაშილავა. ის დავით უსუფაშვილს „ევროპული საქართველოს პოლიტიკოსად“ მოიხსენიებს და საპირისპირო აზრს გამოთქვამს მიხეილ სააკაშვილზე:

**„ეს არ ნიშნავს იმას, რომ დავით უსუფაშვილი ყოველთვის იდეალურად იქცევა, მაგრამ ის ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე დავინახე ისე, თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი, რომელსაც სურს ევროკავშირში გაწევრება. მე ვთვლი, რომ მიხეილ სააკაშვილის რეპლიკები — ეს იყო საქართველოს წარსული. მე მინდა, რომ ეს იყოს საქართველოს წარსული“,** — ამბობს ბაკურ კვაშილავა.

რაც შეეხება ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დადებულ პირობას, რომ დიალოგი მხარეებს შორის გაგრძელდება და, შესაბამისად, დიალოგს შედეგიც მოჰყვება, უმრავლესობაც და უმცირესობაც ერთხმად აცხადებს, რომ მხარეებს კონსენსუსის მიღწევის შანსი აქვთ. რაც შეეხება პოლიტოლოგებს, მათი ნაწილი ფიქრობს, რომ რეალური კოჰაბიტაციის მიღწევის ერთ-ერთ ბარიერს „ნაციონალური მოძრაობა“ ქმნის, თუმცა, მათი თქმით, ამ მიმართულებით არც მმართველი გუნდი დგამს აშკარა ქმედით ნაბიჯებს. სწორედ ამიტომ, ისინი ასკვნიან, რომ ძალიან დაბალია იმის ალბათობა, რომ შეხვედრები მხარეებს გადაწყვეტილებამდე მიიყვანს.

**ნინო თარხნიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ კვანტი ჭიდაობას

**მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა, ბადმინტონი, კალათბურთი, კრივი, კანოე, ველოსპორტი, ცხენოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ხელბურთი, ბალახის ჰოკეი, ძიუდო, ცურვა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტაეკვონდო, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა, მშვილდოსნობა, ტრიატლონი, აფროსნობა და ფრენბურთი — აი, სპორტის ის 25 სახეობა, რომლებსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა რეკომენდაცია გაუწია 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შესატანად.** მკითხველი, ალბათ, იკითხავს, ჭიდაობა სად არისო.

# იქნება ტუშე?..



საქმე ის არის, რომ სპორტის ამ უძველეს სახეობას კვანტი დაუდეს — სოკ-ის აღმასკომმა მას წითელი აუნთო, თუმცა ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ოლიმპიადის მიღმა აღმოჩნდება თუ არა. 2016 წლის თამაშებში შვიდკაცა რაგბი და გოლფი ჩართეს. ეს სახეობები 2020 წლის თამაშების პროგრამაშიც იქნება. აი, 28-ე სახეობის საკითხს სოკ-ის სესია გადაწყვეტს, რომელიც სექტემბერში ბუენოს-აირესშია (არგენტინა) დაგეგმილი. იქვე გახდება ცნობილი ამ ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქიც. საამისო სურვილი სტამბოლს (თურქეთი), მადრიდსა (ესპანეთი) და ტოკიოს (იაპონია) აქვთ.

სექტემბრამდე სოკ-ის კიდევ ერთი სესია სამი თვის შემდეგ სანკტ-პეტერბურგში გაიმართება, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სპორტის რვა სახეობიდან (ბეისბოლი/სოფტბოლი, კარატე, გორგოლაჭებიანი სპორტი, სპორტული მეკლდეურობა, სქვოში, ვეიკბორდინგი, უშუ, ჭიდაობა) ერთ-ერთს აირჩევს ოლიმპიადის 28-ე სახეობად. „ევროსპორტის“ ექსპერტს ეეჭვება, რომ ის ერთადერთი სახეობა ჭიდაობა იქნება, რადგან ძირითადი სიიდან ის სწორედ სოკ-ის წარმომადგენლებმა ამოიღეს. ამ ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მარკ ადამსმა განაცხადა, რომ დეტალურად განვიხილეთ თითოეული სახეობა და მხოლოდ ამის შემდეგ მივედით სათანადო დასკვნამდეო.

სოკ-ის ამ გადაწყვეტილებას, ცხადია, მსოფლიოში პირველი გამოხმაურება უკვე მოჰყვა. მაგალითად, რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ მამიაშვილი დარწმუნებულია, რომ ჭიდაობა დარჩება ოლიმპიურ ოჯახში, ოღონდ ფილას (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) რადიკალური რეფორმების გატარება მოუწევს. სოკ-ის ამგვარ გადაწყვეტილებაზე, ეტყობა, იმან იქონია ზეგავლენა, რომ ბოლო დროს ჭიდაობა ნაკლებად პოპულარულია — საგრძნობლად დათმო პოზიციები საერთაშორისო სარბიელზე, ორთაბრძოლები უინტერესო გახდა, გახშირდა კორუფცია. არადა, ჭიდაობა ჯერ კიდევ ანტიკური ოლიმპიადების პროგრამაში შედიოდა ძვ. წ. აღრიცხვის 704 წლიდან. აღდგენილ ოლიმპიურ თამაშებში პიერ დე კუბერტენმა ბერძნულ-რომაული ჭიდაობაც შეიტანა. 1896 წელს ათენში პირველ თამაშებში სულ ხუთი ფალავანი გამოდიოდა (მაშინ წონითი კატეგორიები არ იყო). გაიმარჯვა გერმანელმა კარლ შუმანმა. მომდევნო ორ თამაშებში (1900 და 1904 წ.წ.) „კლასიკოსებს“არ უასპარეზიათ, 1908 წლიდან კი ოლიმპიადა არ გამოუტოვებიათ. რაც შეეხება თავისუფალ ჭიდაობას, ის ოლიმპიადების პროგრამაში 1904 წელს (სენტ—ლუისი) შეიტანეს და, სტოკჰოლმის 1912 წლის მე—5 ოლიმპიადის გამოკლებით, ყველა თამაშების პროგრამაში შედიოდა.

ქართველი ფალავნები ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლიდან მონაწილეობენ. მაშინ ჰელსინკიში ჩემპიონობა დავით ციმაკურიძემ (თავისუფალი ჭიდაობა) მოიპოვა. მერე ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გივი კარტოზია, ავთანდილ ქორიძე, რომან რურუა, ვახტანგ ბლაგიძე, მანუჩარ კვირკველია (ყველა — ბერძნულ—რომაული ჭიდაობა), მირიან ცალქალამანიძე, ლევან თედიაშვილი (ორჯერ), დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი და რევაზ მინდორაშვილი (ყველა — თავისუფალი ჭიდაობა). ოლიმპიადის პროგრამიდან ჭიდაობის ამოღება, ცხადია, ყველაზე მეტად პოსტსაბჭოურ ქვეყნებს, მათ შორის — საქართველოს, დააზარალებს. გუშინ „კლასიკურ“ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულსა და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონ **რომან რურუას** შევეხმიანეთ.

„ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა სოკ—ის ამგვარი გადაწყვეტილება, — გვითხრა დიდმა ჩემპიონმა. — საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დიდი ხანია, ეს მოსაზრება ტრიალებს. ჯერ კიდევ სოკ—ის წინა პრეზიდენტ სამარანჩს თბილისში სტუმრობისას ველაპარაკეთ ამ თემაზე. მაშინ საპატიო სტუმარს ვკითხე, სოკ—ში სპორტის სახეობების დაცვის მექანიზმი თუ არსებობს-მეთქი. პასუხი ვერ გამცა. და აი, შედეგი. ზოგიერთი საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელს უგუნური პოლიტიკით სპორტის სახეობა დაღუპვის პირამდე მიჰყავს. ერთ-ერთი ჭიდაობა აღმოჩნდა, რომელმაც თავისი განვითარების პიკს გასული საუკუნის 60-იან წლებში მიაღწია. 80-იანი წლებიდან მისი დეგრადაცია დაიწყო, რადგან ჭიდაობაში საეჭვო წესები შემოიღეს და სპორტის ეს რაინდული სახეობა უვიცებსა და სუსტებს მოარგეს, ფაქტობრივად, საფუძველი გამოაცალეს და უინტერესო გახადეს. ფედერაციას უგუნური ხელმძღვანელი ჰყავდეს, ჭიდაობის რა ბრალია. ძალიან დამწყდება გული, სპორტის ამ სახეობას ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან თუ ამოიღებენ. სოკ-იც არ არის მართალი — საერთაშორისო ფედერაციებს თავის გემოზე ჭენების საშუალება არ უნდა ჰქონდეთ. ფილამ ახლა მაინც უნდა შემოირტყას თავში ხელი და ყველაფერი იღონოს ოლიმპიურ პროგრამაში ჭიდაობის შესანარჩუნებლად“.

ფილას ხელმძღვანელობა კი დუმს — კომენტარისგან თავს იკავებს.

**ვაჟა დანელია**

◉ სოჭი — 2014

# დროის ათვლა დაიწყო

**სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადამდე ზუსტად ერთი წლით ადრე რუსეთის რვა დიდ ქალაქში უზარმაზარი საათები დაიდგა, რომლებზეც თამაშების ოფიციალური გახსნის ცერემონიალამდე დროის უკუათვლა დაიწყო.**

„რუსეთმა უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო, ღირსეულად ჩაატაროს ეს გრანდიოზული სპორტული ფორუმი. ყოველივე ეს დიდ შრომასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამავდროულად ქვეყანაში სპორტის განვითარებისთვის სერიოზული ნაბიჯია“, — აღნიშნულია საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებაში.




გრანდიოზული საათი, რომელიც ხაბაროვსკში „პლატინიუმ არენის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააყენეს, 3.5 ტონას იწონის. რაც შეეხება რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში დადგმულ საათს, იგი 6 მეტრი სიმაღლისაა, 7.5 ტონას იწონის და მან უკუათვლა 364 დღის, 23 საათის, 59 წუთისა და 59 წამიდან დაიწყო. აღნიშნულ კონსტრუქციას მოსკოვში ქალაქის უსაფრთხოების დეპარტამენტი 24 საათის განმავლობაში დაიცავს.

დროის უკუათვლა დაიწყო ასევე სანკტ-პეტერბურგში, ნიჟნი ნოვგოროდში, როსტოვში, ეკატერინბურგში, ნოვოსიბირსკში და პიატიგორსკში დამონტაჟებულმა საათებმაც.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ ფეხბურთი

# „დინამოს“ სლოვაკი ნახევარმცველი შეუერთდა

**თურქეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ თბილისის „დინამოს“ 29 წლის სლოვაკი შემტევი ნახევარმცველი პეტერ გრაიციარი შეუერთდა, რომელმაც მიმდინარე საფეხბურთო სეზონის პირველი ნახევარი ჩეხეთის საუკეთესო კლუბში პრაღის „სპარტაში“ გაატარა.**



სამშობლოში წარმატებული კარიერის შემდეგ 2008 წელს პეტერი პრაღის „სლავიაში“ ჩაირიცხა, სადაც ორი წელიწადი დაჰყო. პირველივე სეზონში გუნდთან ერთად ჩეხეთის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა, საერთო ჯამში კი 37 ჩატარებულ თამაშში 14 გოლი გაიტანა. 2010/2011 წლების სეზონი პეტერმა თურქული სუპერლიგის „ქონიასფორში“ გაატარა — 26 მატჩში 7 გოლი გაიტანა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 2011 წელს კი იგი კვლავ დაბრუნდა პრაღაში, ამჯერად „სპარტაში“ სათამაშოდ — 28 შეხვედრა, 5 გატანილი ბურთი.

პეტერ გრაიციარმა სლოვაკეთის ეროვნულ ნაკრებში სამი მატჩი ითამაშა და ბოსნიასთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში გატანილი გოლითაც გამოირჩა.

**პეტერ გრაიციარი:** ვიცი, რომ „დინამო“ საუკეთესო და დიდი გუნდია საქართველოში. ინტერნეტით, კლუბის ოფიციალური საიტით ინფორმირებული ვარ, რომ გასულ სეზონში გარკვეული ჩავარდნა იყო. წელს კი ის პირველ ადგილზეა და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. ყველაფერს გავაკეთებ, მაქსიმუმს გავიღებ, თავს დავდებ, რომ „დინამო“ ჩემპიონი გახდეს. დღეს პირველად ვივარჯიშე „დინამოსთან“ ერთად და ნათლად დავინახე, რომ გუნდში კარგი ფეხბურთელები არიან შეკრებილნი.

**გიორგი შოთაძე**

◉ ჩემპიონთა ლიგა

# შეარგეთ, რა...




**გლაზგოს „სელტიკის“ ცენტრალური მცველი ენროუზი კვირას ნიგერიის ნაკრებთან ერთად აფრიკის ჩემპიონი გახდა, მაგრამ, ეტყობა, ეს წარმატება ისე „ცხარედ“ აღნიშნა, რომ შოტლანდიაში დაბრუნებულმა, ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ შეხვედრაში ტურინის „იუვენტუსთან“ საბედისწერო შეცდომები დაუშვა და საპასუხო ბრძოლას ინტერესი დაუკარგა — 0:3 (მატრი, მარკიზიო, ვუჩინიჩი).**

რასაკვირველია, მასთან ერთად გარკვეულწილად პასუხისმგებლობა მასპინძელთა თავკაც ნილ ლენონსაც ეკისრება, რომელმაც გუნდის ბანაკიდან თვენახევრით გაუჩინარებული დაცვის ბურჯი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ სამშაბათს(!) ძირითად შემადგენლობაში დააყენა, მაგრამ საქმის არსს ეს არ ცვლის — „ბებერი ქალბატონი“ იტალიის მოქმედი ჩემპიონი და წლევანდელი „სერია-ა“-ს ერთპიროვნული ლიდერია, რაც, დაგვეთანხმებით, საგულისხმო ფაქტია და სტუმართა გამარჯვების ლოგიკურობას უსვამს ხაზს.

რაც შეეხება მეორე წყვილს, მისი ბედი „პარი სენ-ჟერმენის“ არგენტინულმა დუეტმა (ლავეცი, პასტორე) გადაწყვიტა — 2:1, თუმცა იმის თქმა, რომ „ვალენსია“ უკვე განწირულია, ვფიქრობთ, ჯერჯერობით ნაადრევია. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ მსაჯმა მინდვრიდან ფრანგების ყოჩი იბრაჰიმოვიჩი გააძევა და იგი საპასუხო თამაშს გამოტოვებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ პაპის არჩევნები

# კონკლავი სიქსტის კაპელაში

**რომის ახალი პაპის არჩევა ის მოვლენაა, რომელიც მუდამ მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცევა ხოლმე და უდიდეს ინტერესს არა მარტო კათოლიკეებში, არამედ მთელ საქრისტიანო თუ არასაქრისტიანო სამყაროში იწვევს. რომის პაპს კონკლავის სახელით ცნობილი კარდინალთა საკრებულო ირჩევს, თავად არჩევნებს კი უძველესი და იდუმალებით მოსილი ისტორია აქვს.**

სადღეისოდ მსოფლიოში 69 ქვეყნის წარმომადგენელი 203 კარდინალია, რომლებსაც სხვა კათოლიკე იერარქებისგან წითელი სამოსელი გამოარჩევს. 1975 წელს დადგენილი წესით შესაბამისად, კონკლავში 120-ზე მეტი კარდინალი არ უნდა იყოს და პაპის არჩევნებში არ შეიძლება მონაწილეობდნენ 80 წელს გადაცილებული იერარქები. ასეთი კი ამჟამად 118 კაცია.

თეორიულად, პაპად შეიძლება ნებისმიერი მამაკაცი კათოლიკე იყოს არჩეული, მაგრამ, ფაქტობრივად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, პაპი რომელიმე კარდინალი ხდება ხოლმე.

ვატიკანი ირწმუნება, რომ არჩევანი წმიდა სულისგან მომდინარეობს, თუმცა კი, ამ პროცესის მნიშვნელოვანი მდგენელია პოლიტიკა. კარდინალები პაპობის ამა თუ იმ კანდიდატის მხარდამჭერ ჯგუფებს აყალიბებენ და იმათაც კი, ვისაც პონტიფიკოსობის შანსი ნაკლებად აქვს, პაპის არჩევანზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. არჩეული პონტიფიკოსი მთელ მსოფლიოში ნახევარ მილიარდზე მეტი კათოლიკეს სულიერი ლიდერი გახდება, მისი გადაწყვეტილებები კი მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს შეეხება.

თავად არჩევნები უმკაცრესადაა გასაიდუმლოებული და მათ თანამედროვე მსოფლიოში ანალოგი, პრაქტიკულად, არა აქვს. კარდინალებს ვატიკანში მანამდე კეტავენ, ვიდრე გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. თავად სიტყვა „კონკლავი" კი „ჩაკეტილ ოთახს" ნიშნავს. პროცესმა შეიძლება რამდენიმე დღე გასტანოს. გასულ საუკუნეებში კონკლავები კვირების, ზოგჯერ კი თვეების მანძილზე გრძელდებოდა, იყო შემთხვევები, როცა არჩევნების დასასრულს ზოგიერთი კარდინალი ვერც კი მოსწრებია. კონკლავზე დებატების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისთვის დამრღვევს ეკლესიიდან მოკვეთა ემუქრება. კენჭისყრის დაწყებამდე სიქსტის კაპელას, სადაც პროცედურა ტარდება, საგულდაგულოდ ამოწმებენ ჩამწერ მოწყობილობათა გამოსავლენად.



კონკლავის დაწყების შემდეგ კარდინალებს გარე სამყაროსთან ნებისმიერი კონტაქტი ეკრძალებათ იმ შემთხვევების გარდა, როცა გადაუდებელი სამედიცინო დახმარებაა საჭირო. აკრძალულია რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები და მობილური ტელეფონებით სარგებლობა. გაუთქმელობის ფიცს ასევე მთელი მომსახურე პერსონალი დებს.

მუშაობის დაწყების დღეს კარდინალების პროცესია სიქსტის კაპელისკენ მიემართება. აქ კარდინალებს ხმის მიცემის პირველი ტურის ჩატარება შეეძლებათ, რომლის დროს გამოიკვეთება, თუ რა მხარდაჭერით სარგებლობს პაპობის თითოეული კანდიდატი.

ძირითადი ხმის მიცემა მეორე დღეს დილით იწყება. ამ დროიდან მოყოლებული ხმის მიცემა დღეში ორჯერ ტარდება – ორჯერ დილით, ორჯერ საღამოთი – ვიდრე კარდინალები ახალ პონტიფიკოსს არ აირჩევენ. კანდიდატების სახელებს ქაღალდის ფურცებზე წერენ ისე, რომ ვერავინ მიხვდეს, თუ ვის სახელს წერენ. ყოველი მეორე ხმის მიცემის შემდეგ კანდიდატების სახელებიან ფურცლებს წვავენ. ამას სადილობის შემდეგ და საღამოს აკეთებენ, თანაც ქაღალდს სპეციალურ ქიმიურ ნივთიერებებს უმატებენ, რომ კენჭისყრის შედეგებზე დადარაჯებულმა ხალხმა იცოდეს: თუ კვამლი შავი ფერისაა, მაშასადამე პაპი ჯერ არჩეული არ არის, თუკი კვამლი თეთრია, მაშასადამე არჩევანი გაკეთდა.

უწინ ახალ პაპს ხმათა ორი მესამედით ირჩევდნენ. იოანე-პავლე II 1996 წლის სამოციქულო კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა, რომელთა შესაბამისად პაპის არჩევა ხმათა უბრალო უმრავლესობით შეიძლება, თუკი ახალი პონტიფიკოსის არჩევა ხმის მიცემის 30 რაუნდის შემდეგ ვერ მოხერხდება. შემდგომ ახალი პონტიფიკოსი საეკლესიო სახელს აირჩევს, პაპის მანტიას მოისხამს და წმინდა პეტრეს საყდრის აივნიდან მორწმუნეებს მიესალმება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ თავის მოვლა

# „თაგვური" პრობლემა

**ხელის მტევნის გვირაბული სინდრომის განვითარების ძირითადი მიზეზი მისი მონოტონური, მუდმივად გამეორებადი, ავტომატიზმამდე დაყვანილი მოძრაობებია.**

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ეს დაავადება, ძირითადად, მუსიკოსთა და მწველავთა ერთგვარად პროფესიულ სნეულებად ითვლებოდა, მაგრამ ბოლო დროს მათ უამრავი მოზარდი და მათი მშობლებიც კი „შეუერთდნენ", რომელთა მუშაობა (თუ გნებავთ, თავისუფალი დრო) კომპიუტერთანაა დაკავშირებული.



დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ კომპიუტერული მაუსის მართვა – ბავშვებში წვრილი მოტორიკის (ანუ მოძრაობის) განვითარების ერთ-ერთი ხერხია. მაგრამ ბოლო დროს ექიმები სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ მაუსის მოძრაობა წვრილ მოტორიკას კი არ ანვითარებს, არამედ ხელის ერთსა და იმავე კუნთებზე სტატისტიკურ დატვირთვას უზრუნველყოფს, რაც მისი მტევნის გვირაბული სინდრომის განვითარებას იწვევს.

თანაც პლანშეტების, ნოუტბუქებისა და აიპადის ტიპის ელექტრონული სიახლეების გაჩენამ მაგიდასთან მუშაობის აუცილებლობა მოსპო. არსებითად, **ამ სნეულების მეორე დასახელებაა აიპადური ხელი.** მაგიდასთან მუშაობას მოზარდებს გაჯეტიანად სავარძელში მოხერხებულად მოკალათება ურჩევნიათ. ასეთ „თავისუფალ" პოზაში უძრავად კისრის, მხრებისა და ა.შ. მრავალი კუნთი აღმოჩნდება ხოლმე. მუშა ხელის თითები კი, რომლებიც ერთსა და იმავე წვრილ მოძრაობებს ასრულებენ დღეში მრავალი საათის მანძილზე, ნახევარმოკრუნჩხულ მდგომარეობაში არიან.

უნდა ითქვას, რომ ხელის მტევნის გვირაბული სინდრომი უცბად არ ვლინდება, ამიტომაც მას თავიდანვე ვერ აღიქვამენ. თავდაპირველად თითებში ჩხვლეტები ჩნდება, მხრის წინა ნაწილში ოდნავი დაბუჟება და მსუბუქი კანკალი იწყება, რაც, განსაკუთრებით, ღამ-ღამობით იჩენს ხოლმე თავს. კაცს ისიც აბნევს, რომ ყველა ეს სიმპტომი არა კომპიუტერთან მუშაობის დროს იჩენს თავს, არამედ გარკვეული დროის გავლის შემდეგ, ასე ვთქვათ „არასამუშაო" ვითარებაში.

კარგია, თუკი თქვენი შვილი ამ სიმპტომებს ყურადღებას მიაქცევს და მათ მოცილებას საწყის ეტაპზევე ეცდება. **საამისოდ საჭიროა კომპიუტერთან სწორად დაჯდომა, დროდადრო შესვენება, მაუსისთვის გარკვეული დროით თავის დანებება და ხელების ვარჯიშის გაკეთება.**

თუკი საგანგაშო ნიშნებს ყურადღებას არ მიაქცევთ, მაშინ მოკლე ხანში შესაძლოა შუანერვის ანთება დაგეწყოთ, როცა ხელით ველარც ვერაფერს ასწევთ, ველარც რაიმე საგნისთვის თითების მოჭერას ვერ შეძლებთ. მყესების დაზიანებისა და მოძრაობის უნარის დაკარგვის გამო, ხელისგული გაბრტყელებას იწყებს, ცერა თითი კი საჩვენებელ თითთან ერთ სიბრტყეში აღმოჩნდება – აი, სწორედ ესაა აიპადური ხელი.

ამიტომ, გვირაბულ სინდრომზე ეჭვის წარმოშობისთანავე აუცილებლად ნევროლოგს უნდა მიაკითხოთ, რომელმაც ხელის მტევნის დაზიანების ხარისხი უნდა დაგიდგინოთ და მკურნალობა დაგინიშნოთ: ეს იქნება ან ტანვარჯიში, ანდა, მძიმე შემთხვევების დროს, წამლების თერაპია, რომელიც სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და ანთებას აქრობს.

**ინფორმაცია თემაში**

- **კომპიუტერთან ჯდომისას ყოველ საათში-საათნახევარში შეისვენეთ და მარტივი ვარჯიშები შეასრულეთ. ისინი სისხლის მიმოქცევას გააუმჯობესებენ, კუნთების გარკვეულ ჯგუფებს დატვირთვას მოუხსნიან და სხვებს, დასვენებულებს დატვირთავენ.**
- **ხელის მტევნებით ისეთი მოძრაობები გააკეთეთ, თითქოს წყლის წვეთებს იფერთხავთ.**
- **ხელის თითები მუშტად შეკარით და გაშალეთ.**
- **თითები მუშტად შეკარით და ღერძის ირგვლივ აბრუნეთ – ჯერ საათის ისრის მიმართულებით, შემდეგ მის საწინააღმდეგოდ.**

**თამარ გოგიაშვილი**

გახსენება

# სახელოვანი მეცნიერი



2013 წლის 12 თებერვალს შესრულდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ **ირაკლი თოფურიას** დაბადებიდან 90 წელი.

საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, მისი სტუდენტობა დაემთხვა სამამულო ომის პერიოდს, ის გაიწვიეს სამშობლოს დამცველთა რიგებში, როგორც ექიმი და ომის დამთავრებამდე დიდი სამამულო ომის წინა ხაზზე იმყოფებოდა.

დემობილიზაციის შემდეგ იგი მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში.

1946 წლიდან ბატონი ირაკლი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მოღვაწეობდა ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მან განვლო გზა რიგითი მეცნიერ-თანამშრომლიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ირაკლი თოფურიამ მიუძღვნა საქართველოში მეტად გავრცელებულ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ საკითხის ირგვლივ მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია, რომელიც ითვლება სამედიცინო პარაზიტოლოგიის დარგში მომუშავე სპეციალისტების სამაგიდო წიგნად.

1961 წელს ირაკლი თოფურია საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებით 6 თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საკითხებს.

ვირსალაძის სახელობის თანამშრომლები დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებენ ბატონ ირაკლის, ბრწყინვალე მეცნიერის, პიროვნების ნათელ ხსოვნას.

**ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ს/კვლევითი ინსტიტუტი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

◉ ალიან-ჩალიანი

## ხაშურის სალიანდაგო სამმართველოს 800-მდე თანამშრომელი გაიფიცა

**როგორც** „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი ხაშურიდან იუწყება, გაფიცული მუშა-მოსამსახურეები ხელფასების მომატებას და წლების წინ არსებული შეღავათების აღდგენას ითხოვენ.

აღნიშნული სამმართველოს დაქვემდებარებაში არსებული ზესტაფონი-გორის მონაკვეთი ამ დროისთის მუშა-მოსამსახურეების გარეშეა დარჩენილი.

გაფიცულები ავარიულ შემთხვევებს არ გამორიცხავენ, თუმცა ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობას იხსნიან და აცხადებენ, რომ შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე დეპარტამენტს და სამმართველოს ხელმძღვანელობას უკვე აცნობეს.

## ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

**ფინანსთა** სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე შუახორგის თემის ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებული ემზარ ბერაია დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბერაიამ ერთ-ერთ მოქალაქეს მსხვილფეხა საქონლის ყოლის დამადასტურებელი ცნობის გაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 600 ლარი გამოართვა.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338 -ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ითვალისწინებს.

**ინტერპრესი**

## განცხადება

2013 წლის 22 თებერვალს 16 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88"-ის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება მისამართზე: თბილისი გოგოლის ქ. №9.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
(ამხანაგობის თავმჯდომარე **ზ. თაბუკაშვილი**).
2. საორგანიზაციო საკითხები.
(ამხანაგობის იურისტი **თ. კობერიძე**).

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**ამხანაგობის გამგეობა**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### მაღალი გადასახადები და... სნეული სპილოები

**წლის დასაწყისში მსოფლიო მასმედიის საშუალებები სენსაციურმა ამბავმა მოიარა, რომელიც უფრო საშობაო ფანტაზიას ჰგავდა: ცნობილმა ფრანგმა კინომსახიობმა ჟერარ დეპარდიემ, რომელიც თავისი ქვეყნის ხელისუფლებას უზარმაზარი საშემოსავლო გადასახადების გამო შემოსწყრა, რუსეთის მოქალაქეობა ითხოვა, რომელიც დაუყოვნებლივ მიიღო.**



მეტიც: რუსეთის პასპორტი ახლადგამომცხვარ მოქალაქეს სოჭში პირადად ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გადასცა. ამასთან დაკავშირებით დეპარდიემ რუსეთის ჟურნალისტებს ღია წერილით მიმართა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „მე დიდად მიყვარს თქვენი ქვეყანა, რუსეთი, თქვენი ადამიანები, თქვენი ისტორია, თქვენი მწერლები... რუსეთში არ არსებობს მეწვრილმანეობა, იგი აღსავსეა დიადი გრძნობებით“.



შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ დეპარდიეს მაგალითს შეიძლება ფრანგული კინოს კიდევ ერთმა ლეგენდამ, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საფრანგეთის სიმბოლოს მარიანას გამსახიერებელმა ბრიჯიტ ბარდომაც მიბაძოს, რომელსაც საამისოდ საკუთარი მოტივები აქვს. ცხოველთა აქტიურმა დამცველმა ბარდომ განაცხადა, რომ ამ ნაბიჯს იგი იმ შემთხვევაში გადადგამს, თუკი საფრანგეთის ხელისუფლება ხელს არ აიღებს განზრახვაზე ქალაქ ლიონის ცირკის ორი სნეული სპილოს დაძინების თაობაზე.

ბრიჯიტ ბარდომ საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ორლანდს ღია წერილი მისწერა, თუმცა კი, პასუხი არ მიუღია. „რუსეთის მოქალაქეობას მოვითხოვ, რათა გავიქცე ქვეყნიდან, რომელიც ცხოველთა სასაფლაოდ გადაიქცა!“

### გერმანელი „რკინის რაშები“

**როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ლიდერები ავტომანქანებით გადაადგილებისას, უმეტესწილად, გერმანული წარმოების ლიმუზინებს ანიჭებენ უპირატესობას.**

მაგალითად, რუსეთისა და ყაზახეთის ლიდერები



ვ.პუტინი და ნ.ნაზარბაევი „მერსედეს პულმანის“ ლიმუზინებით დაბრძანდებიან. ტაჯიკისტანის თავკაცი ე.რაჰმონი ქვეყანაში „მერსედეს ბრაბუსით“ დადის, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ი.ალიევი კი ლიმუზინით „მაიბახ 62“-ით მოძრაობს. მასმედიის ცნობით, მის ავტოპარკში ასევე „მერსედეს-ბენც 600 გუარდ პულმანია“. მოლდოვის ლიდერი ნ.ტიმოფტი „მერსედეს ს500 ლონგით“ დაბრძანდება, უკრაინის პრეზიდენტ ვ.იანუკოვიჩს „მერსედეს-ბენცს“ „600 ლ“ ურჩევნია, უზბეკეთის პრეზიდენტ ი.კარიმოვს კი არჩევანი „რენჯ როვერ 2010“-ზე აქვს შეჩერებული. ლატვიის პრეზიდენტი ა.ბერზინში „ს“ კლასის „მერსედეს ბენცით“ მოძრაობს, ესტონეთის პრეზიდენტი ტ.ჰ.ილვესის სამსახურის მანქანა კი „აუდი ა 8 ლ 3.0 ტდი ქუატროკია“. საქართველოს პრეზიდენტ მ.სააკაშვილს ორი ლიმუზინი ემსახურება – „ნისან პეტფანდერი“ და „ე“ კლასის „მერსედესი“.

### ისე, მართლაც, ყველაფერი ფული ღირს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 2012 წლის არჩევნები რეკორდული იყო ქვეყნის ისტორიაში მათზე დახარჯული თანხის ოდენობის მხრივ, რომელმაც ორი მილიარდ დოლარს მიაღწია.**




ხელმეორე ვადით არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას მთავარი კონკურენტის მიტ რომნის ხარჯმა კი გამარჯვებულის ხარჯის ოდენობასაც გადააჭარბა – რესპუბლიკელი რომნის კამპანია სპონსორებს მილიარდ დოლარზე მეტი თანხა დაუჯდათ. მარტო მედიაში გამართულ სარეკლამო კამპანიებზე კანდიდატებმა ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯეს. ორივე კანდიდატის კამპანიის ნაწილი შეძლებულმა შემომწირველებმა დააფინანსეს. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ მისტერ და მისის შელდონ ადელსონებმა, ლას-ვეგასში კაზინოს მფლობელებმა, მიტ რომნის საარჩევნო კამპანიას 95 მილიონი დოლარი გადაურიცხეს!

### დედოფლის უკანასკნელი ალბომი

**ახლო მომავალში გამოუშვებენ ცოტა ხნის წინათ ტრაგიკულად გარდაცვლილი პოპულარული ამერიკელი მომღერლის უიტნი ჰიუსტონის ადრე გამოუქვეყნებელი ჩანაწერების ახალ ალბომს.**



ახალ კრებულში სახელწოდებით „Will Always Love You“ მათ გარდა, შესულია, აგრეთვე, რიტმ-ენდ-ბლუზის დედოფლის საუკეთესო სიმღერები. აღსანიშნავია, რომ გინესის რეკორდების წიგნში უიტნი ჰიუსტონი მოხვდა როგორც შოუ-ბიზნესის ისტორიაში ყველაზე მეტი ჯილდოს მქონე მომღერალი.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „სააკაშვილი საქართველოს 8 ჯუჯა სახელმწიფოდ დანაწევრებას აპირებს“

**მიხეილ სააკაშვილს** საეჭვოდ აქვს ამოჩემებული ქუთაისი. ათასნაირი განმარტების მიუხედავად, ერი ვერ დაარწმუნა იმაში, თუ რატომ უნდა იყოს პარლამენტის შენობა ქუთაისში და არა დედაქალაქში. პრეზიდენტის ეს ახირება ქვეყნისთვის სახიფათოდ მიაჩნია აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს, მისი განცხადებით, არსებობს საქართველოს დანაწევრების გეგმა, რომელსაც სააკაშვილი ასრულებს. მას დასავლეთმა დაავალა, რომ საქართველო 7-8 ჯუჯა სახელმწიფოდ დაშალოს.

**„ახალი თაობა“**

### ხიზანეიშვილის მეშვეობით, შესაძლოა, გამოძიება უგულავაზე გავიდეს



ბოლო ხანს თბილისის მერიის ბიუჯეტიდან „ნაცმოძრაობის“ აქტივისტების დაფინანსების მაგალითების კასკადი არ წყდება. ამჯერად მედიით თბილისის მერის მოადგილის ტარიელ ხიზანეიშვილის წერილი გავრცელდა, რომლითაც ირკვევა, რომ თბილისის მერის დავალებით მან შპს „თბილსერვისის“ ჯგუფში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების ხელფასით უზრუნველსაყოფად შტატები გაბერა. ამ საკითხთან დაკავშირებით მერიის წარმომადგენლები კომენტარს არ აკეთებენ. საკრებულოს ოპოზიცია კი აცხადებს, რომ თბილისის მერია კარგად ორგანიზებული ფინანსურ-მაქინაციური სქემით მუშაობდა.

**„რეზონანსი“**

### „ბოლო თეთრამდე დააბრუნონ, რაც ქვეყნიდან გაიტანეს და მერე, სადაც უნდათ, იქ წავიდნენ!“

– **აცხადებს** კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა, – სააკაშვილმა და მისმა მინისტრებმა მილიონები იშოვეს, კისრები და სხვა ადგილები გაისუქეს ხალხის ხარჯზე და ახლა უნდათ მშრალად გამოვიდნენ? ბოლო თეთრამდე დააბრუნონ, რაც ქვეყნიდან გაიტანეს (ისიც ვიცით, სად აქვთ გატანილი სიმდიდრე და ისიც – ვინ შეუქმნა მათ ამის უსაფრთხო დერეფანი) და მერე სადაც უნდათ, იქ წავიდნენ. ეს პოლიტიკური ნაგავი ქვეყანას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვაშოროთ!

**„ყველა სიახლე“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**თუ** შვილებს დიდი ხანია არ დაურეკავთ, ნუ ინერვიულებთ: ესე იგი, ფული აქვთ.

* * *

**რამდენიმე** დღეა გადაუღებლად წვიმს. ჩემს ცოლს დეპრესია აქვს, დგას და გამუდმებით ფანჯარაში იყურება. თუ წვიმა არ გადაიღებს, მომიწევს მისი სახლში შემოშვება.

* * *

– **გამარჯობა**, მიხო, როგორა ხარ? ეგრე რამ ჩაგაფიქრა?



– ექიმთან ვიყავი მიღებაზე და ახლა დილემის წინაშე ვდგავარ.

– რა დილემისა?

– თუ არ ვიმკურნალე, ავადმყოფობა მომკლავს, თუ ვიმკურნალე – შიმშილი.

* * *

**პეტკა** და ივანიჩი დადიან სასაფლაოზე. კითხულობენ წარწერებს საფლავის ქვებზე. პეტკა კითხულობს:

– „ჯონ სმიტი. ადვოკატი და კარგი ადამიანი“.

– ეს როგორ? – უკვირს ივანიჩს, – ორი ტიპი ერთ საფლავში ჩაჩურთეს?

* * *

– **განსასჯელო**, აღიარებთ ქურდობის ფაქტს?

– არ ვაღიარებ.

– გაქვთ ალიბი?

– ეგ რა არის?

– რა და, დაგინახათ ვინმემ ქურდობისას?

– მადლობა ღმერთს, არავის არ დავუნახივარ.

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com